საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 97 (117)
შაბათი, 18 მაისი, 1991 წელი.
ფასი 10 კაპიკი

„კონტაქტები უფრო გაგვიადვილდება" — ითქვა პრეზიდენტთან შეხვედრაზე

17 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია შეხვდა საქართველოში სტუმრად მყოფ საქვეყნოდ ცნობილ ტელეკომპანია „სი-ენ-ენის" ვიცე-პრეზიდენტს სტიუარდ ლურს.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ და ბატონმა სტიუარდ ლურმა ამ გულთბილი შეხვედრის დროს ისაუბრეს ორივე მხარისათვის უაღრესად საინტერესო და საყურადღებო საკითხებზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც მათ მოილაპარაკეს, ესაა ჟურნალისტების გაცვლა, რომ ტელეკომპანიის წარმომადგენელი იყოს საქართველოში და საქართველოსი — „სი-ენ-ენში". ეს ხელს შეუწყობს ობიექტური ინფორმაციის გავრცელებას საქართველოს შესახებ, რაც ასე დეფიციტური გახდა დღეს ჩვენთვის ცენტრის „წყალობით", და საშუალებას მოგვცემს ახლო ურთიერთობა დავამყაროთ ერთმანეთთან.

ბატონმა სტიუარდ ლურმა აღნიშნა, „რომ იგი მიესალმება საქართველოს ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და საქართველოს აღარც მიიჩნევს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რაც უფრო აადვილებს კონტაქტებსა და თანამშრომლობას.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი

შეხვედრა ამერიკელთა დელეგაციასთან

1991 წლის 16 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია შეხვდა ამერიკის პოლიტიკური და საქმიანი წრეების წარმომადგენელთა დელეგაციას.

სტუმრებს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გააცნო მათ საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ამერიკის პრესა არ უნდა ეყრდნობოდეს ინფორმაციის მოსკოვურ წყაროებს, რომლებიც ავრცელებენ მიზანდასახულ დეზინფორმაციებს საქართველოზე; საქართველო არის ერთადერთი რესპუბლიკა, რომელშიც ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები; ასევე საქართველო იქნება პირველი რესპუბლიკა, რომელიც საყოველთაო და პირდაპირი კენჭისყრით აირჩევს პრეზიდენტს. მას შემდეგ, რაც 9 რესპუბლიკა ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, სამოკავშირეო პოლიტიკური კლიმატი შეიცვლება და ცენტრი თავისთავად ცნობს დანარჩენი 6 რესპუბლიკის დამოუკიდებლობას.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს აქვთ აზრის თავისუფლად გამოთქმის ყოველგვარი საშუალება, კერძოდ პრეზიდენტისა და ახლანდელი ხელისუფლების კრიტიკის თავისუფლება.

საქართველოს დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობაზე საუბრისას ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ხაზი გაუსვა იმას, რომ ვიდრე საქართველო სსრკ-ს ეკონომიკურ სისტემაშია ჩართული, სრული ეკონომიკური რეფორმის ჩატარება შეუძლებელია, თუმცა კი კანონები პრივატიზაციისა და მეწარმეობის შესახებ მზად არის.

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის საერთაშორისო ასპარეზზე დიდი მნიშვნელობა ექნება აღმოსავლეთის პოზიციას ამ საკითხში. და იმას, თუ როგორ დაწოლას მოახდენს იგი მოსკოვზე.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ისინი ბუშისა და მისი ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ მეტ აქტიურობას დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების მიმართ პოლიტიკის საკითხში.

კონგრესის ფონდის პრეზიდენტმა ბატონმა პოლ ვაირიგმა აღნიშნა, რომ იგი განაცვიფრა საქართველოში სულიერების, რელიგიურობის მაღალმა დონემ.

შეხვედრის დასასრულს მათ აღნიშნეს, რომ აუცილებელია ვაშინგტონში გაიხსნას საქართველოს წარმომადგენლობა. ამერიკიდან ახლახან დაბრუნებულმა ბატონმა მერაბ ურიდიამ, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, აცნობა დამსწრეთ, რომ ვაშინგტონში უახლოეს დროში გაიხსნება ამერიკა-საქართველოს კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც შეასრულებს საქართველოს წარმომადგენლობის როლს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები აფხაზეთში

16 მაისს სოხუმში ჩამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრები — ნიკოლოზ იაშვილი, ანზორ პლიჭაძე, ალექსანდრე ჩხეიძე, გურამ მირიანაშვილი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს და აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი ოთარ ზუხბაია და სხვა ოფიციალური პირები, იმ დღესვე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოში მათი მონაწილეობით გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის ასსრ მთავრობის წარმომადგენლები, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები.

იმ დღესვე სოხუმში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მურმან ომანიძის შეხვედრა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან ბატონ ვლადისლავ არძინბასთან.

შეხვედრაზე განიხილეს რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა აქტუალური საკითხი. ჩვენთან საუბარში ბატონმა მურმან ომანიძემ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული შეხვედრა გაიმართა კონსტრუქციულ ვითარებაში, თუმცა მანვე ხაზი გაუსვა, რომ არსებობს სხვადასხვა ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია.

ი. გოგეჩია,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

სანთელი

ქრისტეს ამაღლება

16 მაისი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ამაღლების დღეა. მას ქრისტეს ნათელი აღდგომიდან მეორმოცე დღეს აღნიშნავენ. ამ დღეს იესო თავის მოწაფეებთან ერთად ზეთისხილის ხეებით დაფარულ მთაზე ავიდა, ხელი ზეაღმართა, დალოცა ირგვლივ მყოფნი და თვალისმომჭრელი შარავანდით მოსილი, ზეცად ამაღლდა.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სიონის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვა გადაიხადა. პარაკლისი 15 მაისს საღამოს დაიწყო, ხოლო მწუხრის ლოცვისა და ცისკრის მერე, 16 მაისს, დიდი საზეიმო ლიტურგია გაიმართა.

• • •

სურათზე: წირვა ამაღლების დღეს სიონის საკათედრო ტაძარში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

თბილისის მფარველი

ამაღლება დღეს ელენე ახვლედიანის ქუჩაზე გაიხსნა ყოველთა წმიდათა სახელობის ტაძარი.

ტაძარი აკურთხა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II და ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ კონსტანტინემ.* ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი თეიმურაზ ბერაშვილი.

ამ ქართულმა მართლმადიდებელთა ტაძარმა, რომელიც ჟამთა სიავის გამო გრიგორიანული ამსრულებლობის გავლენის ქვეშ მოექცა, 1937 წელს მოქმედება შეწყვიტა. შემდეგ მოსახლეობამ იგი არადანიშნულებისამებრ გამოიყენა, ხოლო როცა საქართველოში ეკლესიების აღდგენა-აღორძინება დაიწყო, დაცარიელებული ტაძარი ხელთ იგდო და უკიდურესად შერყვნა ბაპტისტთა სექტამ. ამიტომ საქართველოს დედაეკლესიამ ითავა ამ ტაძრის აღდგენა და ბაპტისტთა საცდურისაგან განთავისუფლება.

ტაძრის რესტავრაცია დააფინანსა და აღდგენითი სამუშაოები შეასრულა „საქნავთის" სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ზურაბ გერგედავა) და ბატონმა ზურაბ ლუმბაძემ. სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა თბილისელი ახალგაზრდა გიორგი ფხაკაძე, რომლის წვლილი ტაძრის აღდგენაში განუზომელია.

ტაძრის სახელწოდება — ყოველთა წმიდათა — მიმანიშნებელი და თავისმომყრელია იმ ყოველი ქართველი წმინდანის ღვაწლისა, მათი ზრუნვისა ღვთის სადიდებლად და თვისი მამულის საკეთილდღეოდ, რომელთა სახელები ისტორიის ავბედითობამ ვერ შემოგვინახა. ყოველთა წმიდათა ტაძარი სიმბოლურად ქალაქ თბილისის მფარველად ითვლება.

ია კალანდარიშვილი

კურთხევა

ზემო ნიქოზის ოთხო-ოროლა მცხოვრებიღა შერჩა ამ წუთისოფელს, ვისაც ახსოვს ბოლო წირვა-ლოცვა, რომელიც აღესრულა ამ სოფლის ეკლესიაში. და, აი, 16 მაისს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ამაღლების დღეს კვლავ მოეფინა არემარეს სამრეკლოს ზარის ხმა. ურბნელი ეპისკოპოსის მეუფე ვახტანგის ნაკურთხი ტაძარი და მისი მოძღვარი მამა კონსტანტინე (ბაბიაშვილი) ამიერიდან მოემსახურება თავის მრევლს.

ისტორიად ქცეული ძეგლის გაცოცხლება ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი ერის ცხოვრებაში. მაგრამ, როდესაც სულ რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ექსტრემისტები და სამხედროები ბარბაროსულად ანგრევენ, აწიოკებენ და ანადგურებენ ჩვენს სალოცავებს, ზემო ნიქოზის ეკლესიის აღდგენა ჩვენი ხალხის შეუპოვრობის და ღვთის ნამდვილი სიყვარულის გამოხატულებაა.

ისტორიული საბუთების მიხედვით ამ სოფლის უნიკალურმა ტაძარმა თავისი დასრულებული სახე მიიღო მეთხუთმეტე საუკუნეში. მისი აგების ამბავი კი თავის საწყისს იღებს ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის მმართველობის დროს, როდესაც აქ დაასვენეს რაჟდენ მოწამის წმინდა ნაწილები. წმინდა რაჟდენი გახლდათ ვახტანგ გორგასლის მეუღლის აღმზრდელი, რომელიც ჩამოვიდა სპარსეთიდან და ჩვენი რჯული მიიღო. სპარსელების ერთ-ერთი შემოტევის დროს მტრებს შეუპყრიათ რაჟდენი, უწამებიათ — და უთხოვიათ უარი ეთქვა ქრისტიანობაზე, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

დღეს კი წმიდათა წმიდა ადგილზე კვლავ გაისმის წირვა-ლოცვა, რომელსაც ესწრებიან სამი სოფლის — ზემო ნიქოზის, ქვემო ნიქოზის და ზემო ხვითის მცხოვრებლები. სალოცავი არქიტექტურული კომპლექსია, რომელშიც შედის ღვთაების ტაძარი, ბერთა პალატა და მთავარანგელოზის ეკლესია სამრეკლოიანად. მთლიანად კომპლექსი საჭიროებს სერიოზულ რესტავრაციას, რადგან ბოლო რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მეცხრამეტე საუკუნეში. მას მერე კი უკვე საბჭოთა პერიოდში ეს წმინდა ადგილი იქცა შხამ-ქიმიკატების საწყობად..

ვერც ავდარმა და აქა-იქ საკურთხეველთან შემორჩენილი ფრესკების სიმცირემ, გაზზარულმა, დაფხავებულმა და ობმოკიდებულმა კედლებმა, ვერც გუმბათმა, რომელიც წვიმის წყალს ატარებს, ვერ დაჩრდილეს ამაღლებული განწყობა, აღდგენილ ტაძარში პირველი წირვა-ლოცვის და ქადაგების დროს რომ სუფევდა. ურბნისელმა ეპისკოპოსმა მეუფე ვახტანგმა მიულოცა ამ სოფლის მცხოვრებლებს უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული, ამ რეგიონისათვის ტრადიციად ქცეული ხალხური ზეიმი, რომელიც იმართება ამაღლების დღის და უსურვა აქ შეკრებილთ ქრისტეს ამაღლების დღე ჩვენი ერის ამაღლების დასაწყისი ყოფილიყოს, მოუწოდა მათ ერთსულოვნებისა და ურთიერთსიყვარულისაკენ.

რიტა დოლიძე,
საქინფორმის კორესპონდენტი

პრეზიდენტობის კანდიდატები

არჩევანის წინაშე არ დავდგებით

დაღესტანში, ნოღაეთის ტრამალებში ჩაკარგულ სტანიცა კარუბეიში, 1978 წლის ზაფხულის ერთ ულმობელ დღეს, საკავშირო სუკ-ის თანამშრომლებმა გადასახლების ადგილზე პატიმარი „ჩააცილეს". კარუბეიში ანტისაბჭოთა „დემაგოგის" ჩამოყვანის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა და ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მიმოფანტული ქართველი მეცხვარეები ადრევე იყვნენ ინფორმირებულნი და ინსტრუქტაჟჩატარებულნი. მხრებზე ზურგჩანთამოგდებული პატიმრის თვალებში ჩაგუბებულ უსაზღვრო სევდასა და ბნელი საკნიდან გამოყოლილ ბინდისფერს ვერაფერი დაეკლო მისი ვაჟკაცური იერსახისა და ყველაფრისგანმგმირავი ირონიული ღიმილისათვის. ის პატიმარი ზვიად გამსახურდია იყო.

1977 წელს, ჰელსინკის კავშირის ჯგუფების მიმართ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების დროს, ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით დააპატიმრეს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ეს იყო დრო დემონის მძლავრობისა, ეს იყო დრო, როდესაც საბჭოური მარწუხებით იშანთებოდა არა მხოლოდ თავისუფალი აზროვნება, არამედ ჯავრიან გულზე ოხვრას ამოყოლილი ყოველი არასაბჭოური ფრაზა და გამონათქვამი. ძნელი იყო მაშინ ერისკაცობა, ძნელი იყო ქვეყანაზე მართალი გულით სიარული. მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ქართულ გენში ღვთის მადლით არასოდეს გადაშენებულან ერისშვილნი, რომელთათვისაც წუთისოფელი ნებივრობისა და სიტკბოებისთვის არ იყო მოგონილი. ზვიად გამსახურდია ერთ-ერთი და უპირველესი იმათთაგანია, ვინც თავისუფლების ნეტარი აზრის მარცვალი საკუთარი სხეულის გვემის ფასად იმპერიის ხიშტებს შორის გამოატარა და თანამოაზრეებთან ერთად მოამზადა ეს მარცვალი საქართველოს ნოყიერ ნიადაგში ჩასაბრუნებლად. დღეს ყველას რომ ასე გვეამება, სწორედ ის პატარა მარცვალი ბიბინებს თავისუფლების ყანად ჩვენს ღვთისგან კურთხეულ ქვეყანაში.

ზვიად გამსახურდიას, მიუხედავად სუკ-ის „განსაკუთრებული ყურადღებისა", არც გადასახლების ადგილზე შეუწყვეტია თავისი პატრიოტული მოღვაწეობა და არც ყიზლარში მყოფ ქართველ მთიელთა შორის გასჭირვებია თანამოაზრეთა აღმოჩენა. მათი ზნე და ხასიათი ხომ ყრმობიდანვე ჰქონდა შეცნობილი, ყაზბეგში გოგი და მიშა ფიცხელაურების ბინაზე, ერის ბედზე ჩაფიქრებულ ადამიანებთან შეხვედრების დროს. 1989 წელს ყაზბეგში იაგო მარსაგიშვილის საფლავთან ქედმოხრილს ალბათ სწორედ გადასახლებაში გატარებული მძიმე დღეები ახსენდებოდა: იაგო მარსაგიშვილი, შალვა კაზალიკაშვილი, უშანგი ხეთაგური... მალული საუბრები მოსახლეობასთან, მეცხვარეებთან, იქაურ პატრიოტებთან, შუაღამისას მოულოდნელად თავს წამომდგარი მილიცია, გამუდმებული თვალყური, დაკითხვები, ჩხრეკა... ცხვრის გადასარეკ ტრასაზე მეცხვარეს მოსვენება არ ჰქონდა, ყოველ ნაბიჯზე იყო მოსალოდნელი ხიფათი. კომუნისტური იდეოლოგიით მოწამლულ ჩეჩნებსა და ქართველს მტერ-მოყვარე ერთმანეთში ერეოდა. გამსახურდია ჩეჩნეთ-ინგუშეთის მოსახლეობასთან დიალოგზე გავიდა. მას შემდეგ ქართველ მეცხვარეებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის გაუგებრობას ადგილი აღარ ჰქონია. მეცხვარეები ჰკვირობდნენ: „რა უთხრაო ისეთი დიდოსტატის ვაჟკაცმა ჩეჩნებსა და ინგუშებს". რა უნდა ეთქვა, მკლავი გაუწოდა, ჩვენი და მათი წინაპრების ისტორია გაახსენა, ერთ უღელქვეშ მყოფი ორი ძმადნაფიცი ხალხის ნამუსი სასწორზე შეაგდებინა. ბევრ ინგუშს პირველად ბატონმა ზვიადმა აჩვენა მათი ისტორიული მიწა-წყლის გეოგრაფიული რუკა. ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრ ხალხებთან დღეს არსებულ მყარ და უღალატო ურთიერთობას სწორედ ზვიად გამსახურდიას კარუბეიში გადასახლების პერიოდში ჩაეყარა საფუძველი.

ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ორიოდე კვირის უკან გახლდით სამსახურებრივი მივლინებით, ეს წერილიც ქართველ მეცხვარეთა თხოვნით დაიწერა. თეთრი ქარავნები მალე მშობლიური იალაღებისკენ გამოემართებიან და მეცხვარეები სწუხან, ვაითუ არჩევნების დღემ გზაში მოგვისწროს და საქართველოს თავისუფლების პრეზიდენტს ჩვენი ხმა დააკლდესო, ჩვენ არჩევანის წინაშე არ დავდგებით, რაღა კაცები ვიქნებით თუ მოამაგე და უღალატო ადამიანს ვერ გამოვარჩევთო.

დღეს ზვიად გამსახურდია მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკური ფიგურაა, ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასაც მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოება პირველ რიგში მის სახელს უკავშირებს. მე უდიდეს პატივს ვცემ საქართველოს პრეზიდენტობის დანარჩენ კანდიდატებს, მაგრამ უღალატო მეცხვარეებისა არ იყოს, გამოგიტყდებით, არჩევანის წინაშე ვერც მე დავდგები.

ანზორ სულიაური,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკუთარი კორესპონდენტი.

პრეზიდენტობა, როგორც ერის ტვირთი

მრავალპარტიული გზით არჩეულმა უზენაესმა საბჭომ გზა გახსნა რეფერენდუმისაკენ, რომლის საფუძველზე გამოცხადდა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რომლითაც ახალ ეტაპს ჩაეყარა საძირკველი ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ყოველივე ამან ბუნებრივად და შინაგანად მოითხოვა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოტანა და დამკვიდრება საქართველოში, რომელიც კი არ უპირისპირდება პარლამენტს და საპარლამენტო რესპუბლიკას, არამედ პირიქით გამომდინარეობს მისგან და წარმოადგენს მისსავე ლოგიკურ დაგვირგვინებას. ამას ნათლად შევიცნობთ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომლის ძირითადი ძარღვია ბრძოლა ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისა და ამავე ხელისუფლების შესუსტების ცდებს შორის. თავისთავად ცხადია, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოტანა მიმართულია ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებისაკენ, რაც გამოხატავს ქართველი ერის ნებას და მაშასადამე დემოკრატიულიცაა, რადგან ხალხის ინტერესებს ითვალისწინებს და არა რომელიმე ელიტისას. ხოლო, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა საქართველოს ისტორიაში ყოველთვის აღიქმებოდა დადებით მოვლენად, რადგან იგი ქართველი ერის მთლიანობის, გაძლიერების და აღორძინების აუცილებელი საშუალება გახლდათ. ხოლო, დაქუცმაცებულობისაკენ სწრაფვა და ცენტრალიზებული ხელისუფლების შესუსტებისათვის ქმედება კი ყოველთვის აღიქმებოდა ჩვენს ისტორიაში, როგორც საქართველოს მთლიანობის საწინააღმდეგო აქტი და ღალატის ტოლფასი გახლდათ. გარკვეული ელიტის მოქმედება, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს წარმოადგენს, დემოკრატიას მხოლოდ თავის საკუთარ კერძო „დემოკრატიად" წარმოსახავს და არა როგორც ხალხის ნების გამოხატულებას.

მრავალპარტიული არჩევნების ლოგიკური გზა ბუნებრივად გულისხმობდა მრავალ კანდიდატიანი საპრეზიდენტო არჩევნების დაფუძნებას. ეს ასეც ხდება. განა ეს არ გახლავთ დემოკრატია? განა ეს არ ნიშნავს დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლების შენებას? უზენაეს საბჭოს ხომ შეეძლო სესიაზე პრეზიდენტის არჩევით დაეკმაყოფილებულიყო და საერთო-სახალხო საარჩევნო აქტისათვის არ მიემართა? ცხადია შეეძლო. ბატონ ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტი და ის დიდი სიყვარული, რომლითაც აღვსილია ხალხი მის მიმართ, სესიაზე არჩეული პრეზიდენტის მექანიზმსაც აგვატანინებდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ მივდივართ უფლის მადლიანი გზით და ვაფუძნებთ დემოკრატიულ რესპუბლიკას სწორედ ბატონ ზვიად გამსახურდიას აქტიური ქმედებით და მისწრაფებით საერთო-სახალხო თავისუფლებისაკენ, ქართველი ერის ნების მაქსიმალური გამოვლენითა და გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ინსტიტუტი და პრეზიდენტობა დღევანდელ საქართველოში აღიქმება როგორც დიდი ტვირთი, რომელიც უნდა ზიდოს პიროვნებამ. ქართველმა პოლიტიკოსმა, რომელიც მაქსიმალურად გამოხატავს ქართველივე ერის ნებას.

დიახ, პრეზიდენტის ინსტიტუტი და პრეზიდენტობა დღეს ფიქსირდება, როგორც უდიდესი ეროვნული ტვირთი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას ატანილი მწვერვალზე ისე, რომ იქიდან არ ჩამოგორდეს, არამედ იქვე დარჩეს, ვით ქართველი ხალხის თავისუფლებისა და მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობის საბოლოო აღდგენისა და დამკვიდრების ნათელი სიმბოლო.

დიახ, ქართველმა ერმა უნდა აირჩიოს პრეზიდენტი, რომლისავე შრომა არ დაემსგავსება სიზიფეს უნაყოფო შრომას და რომლის მიერ მთაზე ატანილი ქვა არასოდეს ჩამოცურდება. ამისათვის კი აუცილებელია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი აკმაყოფილებდეს ოთხ ძირითად მოთხოვნას, რომელიც გამომდინარეობს ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ლოგიკური განვითარებიდან. ჩემის აზრით, სწორედ ამ მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს პრეზიდენტობის კანდიდატებიდან სათანადო პიროვნების შერჩევა. ამით ანგარიშს გაუწევთ, როგორც ერის ნებას, ისე ქართველი ხალხის დემოკრატიულ სულს, მის ნათელ მრწამსს. ეს მოთხოვნებია:

1. საქართველოს პრეზიდენტი უნდა გამოხატავდეს ქართველი ერის ნებას. იგი უნდა გამოხატავდეს ქართველი ხალხის არსობრივ ინტერესებს. ნების გამოხატვაში და ინტერესების არსობრივ გამოვლენაში არ იგულისხმება მხოლოდ რაოდენობრივი მხარდაჭერა; მხედველობაშია მისაღები ერის სულიერ ძარღვებთან სიახლოვე, მისი სულის ლაბირინთებში წვდომა, ეროვნული ფსიქიკისა და საზრისის სიღრმისეული შეცნობა და გაგება, როგორც გონით, ასევე, აუცილებლად, ემოციურ დონეზე.

2. ეს კი გულისხმობს, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა აგრძელებდეს იმ პოლიტიკურ გზას, რომელიც იმყარება უფლის ნათელს და წარმოადგენს დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებულ ეროვნულ პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, რომელსაც არც დემოკრატია აკლია, არც ქართული სული, არც რელიგიურობა და არცთუ თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის სიღრმისეული ძირები.

3. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა ფლობდეს, როგორც პოლიტოლოგიურ უნარს და საფუძვლებს, ასევე პრაქტიკულ პოლიტიკურ ნიჭსაც. პოლიტოლოგია და პრაქტიკული პოლიტიკური მიდრეკილებანი მასში ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული. საქართველოს პრეზიდენტს უნდა გააჩნდეს პოლიტიკური ლავირების უნარი. ეს აუცილებელია რთული და ექსტრემალური სიტუაციებიდან გამოსვლისათვის, წარმატებული პოლიტიკური ქმედებისათვის, როგორც საშინაო ვითარებაში, ისე საგარეო ასპარეზზეც.

ოღონდაც, პოლიტიკური ლავირების უნარი შინაგანად უნდა გულისხმობდეს პოლიტიკური კურსის პრინციპული მიმართულების უცვლელობას და სიმყარეს.

4. საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს აღვსილი რეალობის უტყუარი გრძნობით. იგი პირდაპირ, ყოველგვარი ელიტური ჯგუფების გარეშე, უნდა უკავშირდებოდეს ხალხს და ცხოვრობდეს მისი ცხოვრებით. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა იყოს სულით და ხორციით ქართველი, არაამბიციური და ამავე დროს დიდი შინაგანი ღირსების მქონე. ეს პრეზიდენტი უნდა იყოს ერის, ხალხის და არა რომელიმე ჯგუფის. მისთვის პრეზიდენტობა უნდა წარმოადგენდეს დიდ ეროვნულ ტვირთს, უდიდეს ეროვნულ პასუხისმგებლობას.

ჩემის აზრით, დღეს საქართველოში ამ ოთხივე მოთხოვნას აკმაყოფილებს ბატონი ზვიად გამსახურდია, რასაც ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკვლევა დაადასტურებს, როგორც ანკეტური გამოკითხვა, ისე ინტერვიუ, ისე ე. წ. ჩართული მეთოდი.

ზურაბ გაგნიძე.

სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმას, რომ გარკვეული წრეები სსრ კავშირში, რომლებიც ოცნებობენ საგანგებო წესების შემოღების მეშვეობით დაამყარონ „წესრიგი" მთელ ქვეყანაში, უშუალოდ არიან გარეული საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ რეგიონში ეთნოკონფლიქტების გაჩაღებაში.

ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ცნობებით, ჩრდილოეთ ოსეთის სს რესპუბლიკაში საგანგებო წესების განგრძობის, განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმების ფორმირების მიზნით ოსი ექსტრემისტები გეგმავენ ახალ პროვოკაციებსა და ძალმომრეობის აქტებს ქალაქ ვლადიკავკაზისა და გარეუბნის რაიონის ინგუში მოსახლეობის წინააღმდეგ. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული ნაწილების გადასვლას სსრ კავშირის უმაღლესი ხელმძღვანელობისაგან „ავტონომიური მოქმედების რეჟიმზე" შეიძლება მოჰყვეს ვითარების დესტაბილიზაცია როგორც კავკასიაში, ისე მთლიანად ქვეყანაში.

გამოვთქვამთ იმედს, რომ არ დაუშვებთ აგრესიის ესკალაციას ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

დღეს ცხინვალში ჩამოვიდა საპარლამენტო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები. კომისია შეისწავლის სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებას და შეიმუშავებს კონფლიქტების მოგვარების რეკომენდაციებს.

მთელი ამ დღის განმავლობაში რეგიონში არ მომხდარა შეტაკება, მაგრამ წუხელ სოფელ ხელჩუას მხრიდან ოსმა ბანდიტებმა ცეცხლი დაუშინეს სოფელ დიფერის ქართველ მოსახლეობას.

ისროლეს აგრეთვე (ლურსის ტიპის) ორი რაკეტა, რომელთაგან ერთი მოხვდა მხეილ ბეგელურის საცხოვრებელ სახლს, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

გუშინ სოფელ დისევში ოსი ექსტრემისტები თავს დაესხნენ და მძევლად წაიყვანეს ამ სოფლის მცხოვრები გიორგი ყორანაშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი

სტიქია

კვლავ საგანგებო ვითარებაა

ამბროლაური. 29 აპრილს მიწისძვრის შემდეგ გამეორებულმა ბიძგებმა და ამ ბოლო დღეებში დაწყებულმა კოკისპირულმა წვიმებმა კვლავ საგანგებო ვითარება შექმნა სტიქიისაგან დაზარალებულ რაიონებში.

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, იმატა მიწის ნაპრალებმა ამბროლაურში, ონში, საჩხერეში, ჭიათურაში. აქა-იქ დაიწყო მეწყრული მოვლენები. საგრძნობლად არის მოდიდებული თითქმის ყველა მდინარე თუ ღელე. მაგალითად, ყვირილამ 17 მაისის დილისათვის სასიგნალო დონეს მიაღწია. ყველა მდინარეს და, მათ შორის, ჯოჯორას, რომელმაც ორი ხელოვნური საგუბარი შექმნა ირი-კვაისის მიმართულებით, ახლა თვალყურს ადევნებენ სპეციალისტები.

ონში, სორტუანის ბალნეოლოგიური კურორტის ბაზაზე მომუშავე საერთაშორისო ექსპედიციის მონაწილეები საბჭოთა და საზღვარგარეთელი სეისმოლოგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მიწისძვრის ბიძგების სიმძლავრე თანდათან ცხრება, მაგრამ წვიმების სეზონის დაწყებისთანავე გაიზრდება მეწყრული მოვლენები და აქედან გამომდინარე, საჭიროა მოსახლეობა დროულად განერიდოს ასეთ ადგილებს.

ერთი დღე არ გავა ისე, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ცენტრალური სეისმოლოგიური სადგურის „თბილისის" ხელსაწყოებს არ აღენიშნოთ ახალი მიწისძვრის ბიძგები. 29 აპრილს დილით საქართველოში მომხდარი კატასტროფული მიწისძვრის ეპიცენტრალურ ზონაში აქ ყოველ დღე ირყევა მიწა, ისევ ინგრევა შენობები და ნაგებობები. მიწისქვეშა „ქარიშხალი" კვლავ „ამსხვრევს" ყოველივე იმას, რაც გადაურჩა აქ პირველ ძლიერ ბიძგებს. მაგალითად, ონში, 17 მაისს ღამის ნულ საათსა და ორ წუთზე მოხდა 2 ბალი ძალის მიწისძვრა. მაგრამ ასეთი მიწისძვრაც კი, რომელსაც ჩვეულებრივ არ მოაქვს ხოლმე ზიანი ნაგებობებისათვის, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა ონში ზოგიერთ უბანში ჩამოქცეულიყო წინათ დაზიანებული შენობების ნარჩენები.

— გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა ამ რაიონულ ცენტრს 5 ბალი სიმძლავრის მიწისქვეშა ბიძგმა, რომელიც მოხდა 15 მაისს 18 საათსა და 28 წუთზე ონი-ამბროლაურის ზონაში, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სეისმოლოგიური ობსერვატორიის უფროსმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ავთანდილ ახალბედაშვილმა. — ამ დღეს ამ რაიონული ცენტრების ქუჩები კვლავ შეზანზარდა და მიწაზე ჩამოქცეული წინათ დაზიანებული სამშენებლო კონსტრუქციების მტვრით დაიფარა. საბედნიეროდ, ამჯერად მსხვერპლი არ ყოფილა. **საქინფორმი.**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ

თავი I
ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა), ქალაქის რაიონის, დაბის, თემის და სოფლის საკრებულოებში არჩეული დეპუტატის უფლებრივი მიმართება შესაბამის საკრებულოებთან, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებთან (პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, კავშირებთან, მოძრაობებთან, მათ პოლიტიკურ თუ საარჩევნო ბლოკებთან) და ამომრჩევლებთან დამყარებულია უფლება-მოვალეობათა შექცევადობის პრინციპზე, ანუ ნებაყოფლობით გადაცემული უფლებამოსილების იმავე წესით ჩამორთმევის შესაძლებლობაზე.

მუხლი 2. საკრებულოში არჩეული დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა ჯგუფს ან პარტიას (საარჩევნო ბლოკს).

საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის უფლება აქვთ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩევლებს ამ კანონით დადგენილი წესით.

დეპუტატის საკრებულოდან გაწვევის შემთხვევაში შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილში ხელახალი არჩევნები ეწყობა კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 3. საკრებულოში არჩეული დეპუტატის გაწვევის შემდეგ საკრებულო დადგენილებით წყვეტს დეპუტატის უფლებამოსილებას, თუ დაადგენს, რომ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილში საკრებულოდან დეპუტატის გაწვევა მოხდა კანონის შესაბამისად.

მუხლი 4. შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩევლები საკრებულოდან დეპუტატს გაიწვევენ პირდაპირი, საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

მუხლი 5. საკრებულოდან დეპუტატის გაწვევისათვის კენჭისყრა ტარდება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს; საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი კენჭისყრაში მონაწილეობენ თანასწორი უფლებებით.

მუხლი 6. დეპუტატის გაწვევისათვის კენჭისყრა პირდაპირია: ამომრჩევლები უშუალოდ ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებიდან დეპუტატთა გაწვევას.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევა ტარდება ფარული კენჭისყრით; კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლინებისადმი დაუშვებელია.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

მუხლი 9. საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება აქვთ შესაბამისი ოლქის ამომრჩეველთა ჯგუფს, შესაბამისი პარტიული სიის წარმდგენ პირებს ან შესაბამისი პარტიის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს.

მუხლი 10. საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას შესაბამისი ტერიტორიული (საქალაქო) საარჩევნო კომისიის წარდგინებით განსაზღვრავს ცენტრალური საარჩევნო კომისია. ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

მუხლი 11. საჯაროობა გაწვევის მომზადებისა და ჩატარების დროს, აგრეთვე პასუხისმგებლობა გაწვევის შესახებ კანონის დარღვევისათვის განისაზღვრება „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ „საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-11 მუხლითა და მე-12 მუხლის პირველი ნაწილით.

მუხლი 12. საკრებულოდან გაწვეულ დეპუტატს ერთი ვადით ეკრძალება წარდგენილ იქნეს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებში.

თავი II
გაწვევის ჩამტარებელი საარჩევნო კომისიები

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებიდან დეპუტატთა გაწვევას ატარებენ:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) ტერიტორიული საარჩევნო კომისიები — რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) ტერიტორიული საარჩევნო კომისიები;

გ) ადგილობრივი საარჩევნო კომისიები — ქალაქის (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა) საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების საქალაქო, ქალაქის რაიონების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ქალაქის რაიონული, დაბების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სადაბო, თემის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სათემო, სოფლის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სათემო სოფლის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სასოფლო საარჩევნო კომისიები, რომლებსაც შეუძლიათ იმავდროულად შეასრულონ საუბნო საარჩევნო კომისიების ფუნქციები, თუ ამას დაადგენს მათი ზემდგომი საარჩევნო კომისია;

დ) „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიები.

თავი III
საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებიდან დეპუტატთა გაწვევის საკითხის აღძვრა და გაწვევის დანიშვნა

მუხლი 14. საკრებულოდან დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრისას შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა სულ ცოტა 5-კაციანმა საინიციატივო ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვების უფლების მიღების თაობაზე.

განცხადებაში დეპუტატის გაწვევის მოტივის გარდა უნდა აღინიშნოს საინიციატივო ჯგუფის ყოველი წევრის სახელი, მამის სახელი, გვარი, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მისამართები, თარიღი და იგი უნდა დამოწმდეს მათი ხელმოწერებით.

შესაბამისი პარტიული სიის წარმდგენმა პირებმა ან შესაბამისი პარტიის რესპუბლიკურმა ხელმძღვანელმა ორგანომ საკრებულოს დეპუტატის გაწვევის ჩატარების მოთხოვნით წერილობით უნდა მიმართონ შესაბამის სააარჩევნო კომისიას.

მუხლი 15. შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა განცხადების რეგისტრაციის თაობაზე საინიციატივო ჯგუფს ეძლევა ცნობა და უფლება შეაგროვოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა ხელმოწერები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ყოველი ხელმოწერის შესაგროვებელ ფურცელს უნდა ეწეროს გასაწვევი დეპუტატის სახელი, გვარი, საკრებულოს დასახელება, საიდანაც გაწვეული უნდა იქნეს დეპუტატი, საინიციატივო ჯგუფის მიერ შედგენილი გაწვევის ჩატარების მოთხოვნის ტექსტი, ტექსტის მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელით დაწერილი ამომრჩეველთა სახელი, მამის სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პასპორტის სერია და ნომერი, ხელმოწერის თარიღი და ხელმოწერა; გვერდები დანომრილი უნდა იყოს; თითოეული გვერდი უნდა დამოწმდეს საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის ხელმოწერით.

ადგილობრივი საარჩევნო კომისია შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიასა და დეპუტატს საინიციატივო ჯგუფისათვის ცნობის მიცემიდან ორი დღის ვადაში აცნობებს გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ.

მუხლი 16. საინიციატივო ჯგუფმა ორი კვირის ვადაში უნდა მოაგროვოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილის დეპუტატის გაწვევის მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები ამ ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის სულ ცოტა 10 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 17. ადგილობრივი საარჩევნო კომისია საკრებულოს წევრის ნდობით აღჭურვილ პირებთან ერთად ერთი კვირის ვადაში შერჩევით ამოწმებს დეპუტატის გაწვევის მხარდამჭერთა ხელმოწერების სისწორეს. იმ შემთხვევაში, თუ მხარდამჭერთა საერთო რიცხვის 5 პროცენტზე მეტი ხელმოწერის სისწორე არ დადასტურდება (თითოეულ ასეთ შემთხვევაში დგება სათანადო აქტი), შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია აუქმებს საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას დეპუტატის გაწვევის ჩატარების შესახებ.

მუხლი 18. ადგილობრივი საარჩევნო კომისია გაწვევის მოთხოვნის შესახებ ხელმოწერების ან პარტიის (ბლოკის) განცხადების მიღებიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 10 დღისა ნიშნავს საკრებულოს წევრის გაწვევის ჩატარების დღეს. გაწვევა უნდა ჩატარდეს საარჩევნო კომისიის მიერ გაწვევის დანიშვნიდან არა უადრეს ორი კვირისა და არა უგვიანეს ერთი თვისა. ცნობა გაწვევის ჩატარების დღის შესახებ ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში გაწვევის დანიშვნიდან სამი დღის ვადაში.

საარჩევნო ოლქის ნაწილში დეპუტატის გაწვევის ჩატარების უზრუნველყოფა ევალება შესაბამის ადგილობრივ საარჩევნო კომისიას.

თავი IV
გაწვევის ბიულეტენი

მუხლი 19. გაწვევის ბიულეტენში ნათლად უნდა იყოს მოცემული კითხვა, რომელიც მხოლოდ დადებით ან უარყოფით პასუხს გულისხმობს („დიახ" ან „არა") და იგი შეთანხმებული უნდა იყოს გაწვევის საკითხის აღმძვრელ პირებთან.

კითხვის შემდეგ მოცემული უნდა იყოს საკრებულოს იმ დეპუტატის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, პროფესია, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილი, პარტიულობა, რომლის გაწვევის საკითხი გამოტანილია კენჭისყრაზე; იმ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც იგი წარადგინა დეპუტატობის კანდიდატად (თუ დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადების საფუძველზეა წარდგენილი, უნდა დაიწეროს „დამოუკიდებელი").

გაწვევის ბიულეტენის ქვედა მარცხენა და მარჯვენა კუთხეებში შესაბამისად უნდა ეწეროს სიტყვები: „დიახ" და „არა".

იმ შემთხვევაში, როდესაც ამომრჩეველი თანახმაა საკრებულოდან დეპუტატის გაწვევაზე, მან უნდა შემოხაზოს სიტყვა „დიახ", როდესაც წინააღმდეგია გაწვევისა, უნდა შემოხაზოს სიტყვა „არა".

გაწვევის ბიულეტენებს ბეჭდავენ შესაბამისი საარჩევნო კომისიები ქართულ ენასა და აფხაზურ ენაზე (აფხაზეთის ტერიტორიაზე), აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში საარჩევნო ოლქის ნაწილის მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

გაწვევის ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ შესაბამისად მათთვის დაქვემდებარებული საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემას გაწვევამდე არა უგვიანეს 5 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ნაწილში ამომრჩეველთა რაოდენობაზე დაახლოებით 10 პროცენტით მეტი ბიულეტენი, ბიულეტენების მიღებას ხელმოწერით ადასტურებენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი.

თავი V
საკრებულოდან გასაწვევი დეპუტატის საქმიანობის გარანტიები, საინიციატივო ჯგუფის გარანტიები

მუხლი 20. შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიის მიერ საკრებულოდან დეპუტატის გაწვევისათვის კენჭისყრის შედეგების დამტკიცებამდე დეპუტატი სარგებლობს საკრებულოს წევრის უფლებამოსილებით.

დეპუტატისა და საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გარანტიები განსაზღვრულია „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, 46-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 50-ე და 51-ე მუხლებით.

თავი VI
ხმის მიცემის წესი და გაწვევის შედეგების დადგენა

მუხლი 21. ხმის მიცემის წესი და გაწვევის შედეგების დადგენა ხორციელდება ამ კანონის 23-ე მუხლით, „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების —საკრებულოთა არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების პირველი, მე-3, მე-4, მე-5 ნაწილებით, 55-ე მუხლის 1), 2), 3), 4), 6), 7), 8), პუნქტებით.

მუხლი 22. გაწვევის ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ:

ა) იგი არ შეესაბამება დადგენილ ნიმუშს;

ბ) სიტყვებიდან „დიახ" და „არა" არც ერთი არ არის შემოხაზული ან ორივეა შემოხაზული;

გ) შეუძლებელია იმის დადგენა, ამომრჩეველი შესაძლო პასუხებიდან რომელს ეთანხმება.

ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება.

ბიულეტენის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

კომისია ახარისხებს და ცალკე ითვლის გაწვევის ბიულეტენში შეტანილი კანდიდატისათვის მიცემული ხმების (დადებითი ან უარყოფითი პასუხების) რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაიწყოს, როგორც „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის 55-ე მუხლის მე-4 პუნქტშია მითითებული.

მუხლი 23. საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ამტკიცებს გაწვევისათვის კენჭისყრის შედეგებს და ადგენს ოქმს სამ ცალად. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები. მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმში აღინიშნება: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა ამომრჩეველთა საერთო რიცხვი, გაწვევისათვის კენჭისყრაში მონაწილეთა რიცხვი, ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვი, თითოეული შესაძლო გადაწყვეტილებისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა.

ოქმის პირველი ცალი და გამოუყენებელი ბიულეტენები გაწვევისათვის კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მესამე დღისა ეგზავნება შესაბამის ტერიტორიულ ან ადგილობრივ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით. ოქმის მეორე ცალი ინახება საუბნო საარჩევნო კომისიაში, მესამე ცალი კი უნდა ჩაბარდეს გაწვევის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს.

შესაბამისი ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია შესაბამისად მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ოქმის საფუძველზე ადგენს: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რიცხვს, საარჩევნო ოლქის ნაწილში გაწვევისათვის კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვს, ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, თითოეული შესაძლო გადაწყვეტილებისათვის მიცემული ხმებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას.

დეპუტატი გაწვეულად ითვლება, თუ მის გაწვევას მხარს დაუჭერს ხმის მიცემის მონაწილეთა ნახევარზე მეტი და გაწვევა ჩატარებულად ჩაითვლება.

გაწვევა ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ოლქის ნაწილის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

ტერიტორიულ ან ადგილობრივ საარჩევნო კომისიას შეუძლია გაწვევისათვის კენჭისყრა ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევა. საჩივარი ასეთი დარღვევის შესახებ საუბნო ან ადგილობრივ საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს გაწვევის მომდევნო დღისა.

იმ შემთხვევაში, თუ გაწვევა არ ჩაითვალა ჩატარებულად, ხელმეორე კენჭისყრა არ ეწყობა. ასეთ შემთხვევაში გაწვევის კანდიდატს უნარჩუნდება საკრებულოს წევრის სტატუსი.

მუხლი 24. ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიისაგან მიღებული ოქმის საფუძველზე ამტკიცებს საარჩევნო ოლქის ნაწილში ჩატარებული გაწვევისათვის კენჭისყრის შედეგებს და ორი დღის ვადაში დადგენილი წესით აწვდის აუცილებელ ინფორმაციას შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიასა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

კენჭისყრის შედეგების შეჯამების ხუთი დღის ვადაში შესაბამისად ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს ცნობას გაწვევის შედეგების შესახებ.

მუხლი 25. თუ კენჭისყრა ბათილად არის ცნობილი საარჩევნო ოლქის ნაწილის ერთი ან რამდენიმე უბანში, ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა მხოლოდ ამ უბანში.

ხელახალი ხმის მიცემა ეწყობა გაწვევისათვის კენჭისყრიდან ერთი კვირის შემდეგ და მისი შედეგები განისაზღვრება გაწვევის პირველი ტურისათვის დადგენილი წესებით.

თავი VII
რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოდან დეპუტატების გაწვევის წესი

მუხლი 26. რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოს წევრების, გარდა ამ საკრებულოებში თანამდებობის მიხედვით შემავალი პირებისა, გაწვევის უფლება აქვთ რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის, ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოს წევრად მათ ამრჩევ საკრებულოებს.

რაიონის (რაიონული დაყოფის მქონე ქალაქის, ქალაქის, რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოდან დეპუტატი გაწვეულად ჩაითვლება, თუ გაწვევას მხარს დაუჭერს შესაბამისი საკრებულოს წევრთა რიცხვის ნახევარზე მეტი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

თბილისი. 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა წევრების გაწვევის წესის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1979 წლის 15 ივნისის კანონი „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ".

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ

I. ძირითადი დებულებები

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოებია სოფლის, დაბის, თემის, რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის, რაიონის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის საკრებულოები.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, სახელმწიფო მშენებლობას, უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

საკრებულოები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობენ კანონიერებისა და სამართლიანობის, საერთო რესპუბლიკური და ადგილობრივი ინტერესების ურთიერთშეხამების, ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, საჯაროობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების პრინციპებით.

ყოველი საკრებულოსა და მისი გამგეობის უფლებამოსილებას, საქმიანობის წესს, სტრუქტურასა და შტატებს განსაზღვრავს ამ კანონისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შემუშავებული რეგლამენტი, რომელსაც მიიღებს საკრებულო და დაამტკიცებს შესაბამისი პრეფექტი.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი საკრებულოების — სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქის, ქალაქის რაიონის, რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც არ აქვს რაიონული დაყოფა), საკუთრივ რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია. ადგილობრივ საკრებულოებში დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

ადგილობრივი საკრებულოების წევრებს — დეპუტატებს ირჩევს მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიის მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 3 წლის ვადით, „საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით.

რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის (რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი) და რაიონის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნები არაპირდაპირია: საკრებულოებში დეპუტატებს ირჩევენ მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე არსებული საკრებულოები თავიანთი შემადგენლობიდან.

მუხლი 3. საკრებულოები მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონის, სხვა საკანონმდებლო აქტებისა და თავიანთი რეგლამენტების საფუძველზე.

საკრებულოები კანონით განსაზღვრულ ფარგლებში ექვემდებარებიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომ ორგანოებს.

მუხლი 4. საკრებულოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, მათ აქვთ თავიანთი გერბიანი ბეჭედი.

იმ შენობაზე, სადაც ტარდება საკრებულოს სესია, სესიის მთელ პერიოდში აღიმართება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშა.

მუხლი 5. საკრებულოს ორგანოები და თანამდებობის პირებია:

ა) საკრებულოს სესია;

ბ) საკრებულოს მდივანი და მდივნის მოადგილე;

გ) საკრებულოს კომისიები;

დ) საკრებულოს გამგეობა (გამგეობის ნაცვლად საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება არჩეული იქნეს ერთი თანამდებობის პირი — გამგებელი);

ე) საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე.

ქალაქ თბილისისა და მისი რაიონების საკრებულოების სტატუსს განსაზღვრავს კანონი თბილისის მმართველობის შესახებ.

II საკრებულოს სესია

მუხლი 6. მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს სესიაზე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

ა) საკრებულოს რეგლამენტის მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

გ) ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცება;

დ) ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება;

ე) დეპუტატების უფლებამოსილებათა ცნობა ან ვადამდე შეწყვეტა;

ვ) საკრებულოს მდივნის, მდივნის მოადგილის, გამგეობის თავმჯდომარის (გამგებლის), თავმჯდომარის მოადგილის და წევრების არჩევა ან თანამდებობიდან გათავისუფლება;

ზ) დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხების განხილვა და მათზე პასუხის გაცემა;

თ) გამგეობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;

ი) სამანდატო სარევიზიო და სხვა კომისიების შექმნა;

კ) ბუნების დაცვის პროგრამების დამტკიცება;

ლ) ადგილობრივი გადასახადების, მოსაკრებლების, არასაბიუჯეტო სახსრების, ბაჟების დაწესება, ადგილობრივი სესხების, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შემოღება;

მ) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

მუხლი 7. ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სესიას იწვევს შესაბამისი ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისია არა უგვიანეს 10 დღისა მას შემდეგ, რაც აირჩევა საკრებულოს წევრთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორი მესამედი მაინც.

მუხლი 8. ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სესიის პირველი სხდომის დღის წესრიგში, როგორც წესი, უნდა შევიდეს შემდეგი საკითხები:

ა) საკრებულოს სამანდატო კომისიის არჩევა;

ბ) საკრებულოს სამანდატო კომისიის მოხსენების საფუძველზე დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობა;

გ) საკრებულოს მდივნისა და მისი მოადგილის არჩევა;

დ) სარევიზიო კომისიის არჩევა;

ე) გამგეობის თავმჯდომარის არჩევა (ხოლო თუ გამგეობა არ აირჩევა, — გამგებლის არჩევა);

ვ) გამგეობის წევრთა არჩევა.

დეპუტატებს შეუძლიათ დღის წესრიგში სხვა საკითხებიც შეიტანონ.

მუხლი 9. ახლად არჩეული საკრებულოს პირველ სხდომას საკრებულოს მდივნის არჩევამდე უძღვება და მის გადაწყვეტილებებს ხელს აწერს შესაბამისი ტერიტორიული ან ადგილობრივი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, — ამ კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 10. საკრებულოს მორიგ და რიგგარეშე სესიებს იწვევს საკრებულოს მდივანი.

საკრებულოები ატარებენ წელიწადში სულ ცოტა ოთხ მორიგ სესიას.

მუხლი 11. საკრებულოს მდივანი ვალდებულია 7 დღის ვადაში მოიწვიოს საკრებულოს რიგგარეშე სესია, თუ ამას წერილობით მოითხოვს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის პრეფექტი ან ამომრჩეველთა 1 პროცენტი მაინც, ან საკრებულოს წევრთა ერთი მესამედი.

საკრებულოს მდივანს საკრებულოს რიგგარეშე სესია შეუძლია მოიწვიოს საკუთარი ინიციატივითაც.

მუხლი 12. საკრებულოს სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადება ევალება საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) ან საკრებულოს მდივანს. მათ შეუძლიათ ცალკეული საკითხების მომზადება დაავალონ დეპუტატებს ან გამგეობის წევრებს.

მუხლი 13. საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების დროსა და ადგილს, აგრეთვე დღის წესრიგში შესატან სავარაუდო საკითხებს ადგენს საკრებულოს მდივანი და ამის შესახებ აუწყებს მოსახლეობას და დეპუტატებს სხდომამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

მუხლი 14. საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ორი მესამედი.

საპროცედურო საკითხებზე (კენჭისყრის წესის, სხდომის მიმდინარეობის და სხვა) გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე დეპუტატთა ნახევარზე მეტი.

საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი.

გადაწყვეტილება, რომლითაც მიიღება ან იცვლება საკრებულოს რეგლამენტი, მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა დეპუტატთა საერთო რიცხვის სულ ცოტა ორმა მესამედმა.

მუხლი 15. საკრებულოს სხდომებს, როგორც წესი, უძღვება საკრებულოს მდივანი, რომელსაც შესაბამისი საკრებულოს წევრთაგან ირჩევენ ფარული კენჭისყრით საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

საკრებულოს მდივანი იწვევს საკრებულოს სესიებს და უძღვება მის სხდომებს, კოორდინაციას უწევს საკრებულოს კომისიების საქმიანობას, ხელს აწერს საკრებულოს მიერ მიღებულ აქტებს.

მუხლი 16. საკრებულოს მდივნის წარდგინებით საკრებულო ირჩევს საკრებულოს მდივნის მოადგილეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

მდივნის უშუალო დავალებით ან იმ შემთხვევაში, თუ საკრებულოს მდივანს დროებით არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, მდივნის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე, საკრებულოს მდივნის მიერ უფლებამოსილების მოხსნისას ან მის მიერ მდივნის ფუნქციების შესრულებისათვის დაუძლეველი დაბრკოლებების არსებობის შემთხვევაში საკრებულოს მდივნის მოადგილე ხდება საკრებულოს მდივანი.

საკრებულოს მდივნის მოადგილეს ევალება სხდომის ოქმისა და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგება.

მუხლი 17. თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას საკრებულოს მდივანი, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას, ხოლო საკრებულოს მდივნის მოადგილე — არ წყვეტს. ამ საკითხს წყვეტს საკრებულო და ასახავს რეგლამენტში.

მუხლი 18. საკრებულოს სხდომა ღიაა.

საკრებულოს მდივანს ან გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) შეუძლია სხდომაზე მოიწვიოს მოქალაქენი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების წარმომადგენლები.

საკრებულოს მდივანს ან დეპუტატთა ერთ მეოთხედს შეუძლია დააყენოს საკითხი დახურული სხდომის ჩატარების შესახებ. თუ კენჭისყრის დროს ამ წინადადებას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე დეპუტატთა ნახევარზე მეტი, დახურული სხდომა ჩატარდება.

სათათბირო ხმის უფლებით როგორც ღია, ასევე დახურულ სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ გამგეობის ყველა წევრს, შესაბამისი ტერიტორიის პრეფექტსა და პრეფექტის მოადგილეს (მოადგილეებს), აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებს.

მუხლი 19. საკრებულოს გადაწყვეტილებები მიიღება ღია, ფარული ან სახელობითი კენჭისყრით.

III საკრებულოს კომისიები

მუხლი 20. საკრებულოს ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად დეპუტატთა შემადგენლობიდან თავისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს სამანდატო, სარევიზიო და სხვა კომისიებს, საკრებულოს შეუძლია შექმნას დროებითი კომისიები. მათ შემადგენლობაში დასაშვებია იმ პირთა შეყვანა, რომლებიც საკრებულოს წევრები არ არიან.

მუხლი 21. სამანდატო კომისია:

ა) ამოწმებს ახლად არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებას და საკრებულოს სხდომას წარუდგენს დასკვნას არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების ცნობის ან არცნობის შესახებ;

ბ) განიხილავს დეპუტატთა წერილობით განცხადებას უფლებამოსილებათა მოხსნის შესახებ და ამის თაობაზე საკრებულოს სხდომას სათანადო დასკვნას წარუდგენს.

გ) განიხილავს და საკრებულოს სხდომას წარუდგენს დასკვნას დეპუტატთა ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 22. სარევიზიო კომისია:

ა) აკონტროლებს საკრებულოს მიერ საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, რისთვისაც შეუძლია ანგარიში მოსთხოვოს საკრებულოს დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ხელმძღვანელებს;

ბ) ამოწმებს გამგეობისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საფინანსო საქმიანობას;

გ) ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს საკრებულოს ყველა ორგანოსა და თანამდებობის პირის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო საკითხების შესახებ;

დ) „ა", „ბ", „გ" პუნქტებში განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სარევიზიო კომისია იღებს დასკვნას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს სხდომას.

მუხლი 23. საკრებულოს კომისიების ორგანიზაციის, საქმიანობის წესსა და კომპეტენციას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა და შესაბამისი საკრებულოს რეგლამენტი.

IV საკრებულოს გამგეობა

მუხლი 24. ადგილობრივი საკრებულოების აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა შესაბამისი გამგეობა (გამგებელი), რომელიც უზრუნველყოფს მათი მუშაობის ორგანიზაციას.

რესპუბლიკური (საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკის) დაქვემდებარების რაიონისა და ქალაქის (რომელსაც არ აქვს რაიონული დაყოფა, ანდა რომელსაც ადმინისტრაციულად ექვემდებარება სასოფლო რაიონი), გამგეობა (გამგებელი) არ აირჩევა.

სოფლის, დაბის, თემის საკრებულოს შეუძლია გამგეობის ნაცვლად აირჩიოს საკრებულოს გამგებელი.

საკრებულოს გამგეობას (გამგებელს) ირჩევს საკრებულო თავისი უფლებამოსილების ვადით. გამგეობა შედგება: თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და, როგორც წესი, 3-5 წევრისაგან.

მუხლი 25. საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს) თავისი უფლებამოსილების ვადით პრეფექტის წარდგინებით ირჩევს შესაბამისი საკრებულო საკრებულოს წევრთა შემადგენლობიდან.

კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ კენჭისყრის დროს მას მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

თუ საკრებულომ არ აირჩია პრეფექტის მიერ წარდგენილი კანდიდატი, ახალ კანდიდატურას კვლავ პრეფექტი ასახელებს.

მუხლი 26. გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი) თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, როგორც წესი, წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. ამ საკითხს წყვეტს საკრებულო და ასახავს რეგლამენტში.

მუხლი 27. გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს გამგეობის თავმჯდომარეს (გამგებელს).

დასახელებული კანდიდატი არჩეულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილე დეპუტატთა ნახევარზე მეტმა.

(დასასრული მე-3 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების —საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ

(დასასრული)

თუ თავმჯდომარის წარდგენილი კანდიდატი ვერ იქნა არჩეული, ახალ კანდიდატურას კვლავ თავმჯდომარე (გამგებელი) ასახელებს.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იმავდროულად არ შეიძლება იყოს დეპუტატი.

გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, როგორც წესი, არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. ამ საკითხს წყვეტს საკრებულო და ასახავს რეგლამენტში. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე არ გათავისუფლდა საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობისაგან, მაშინ თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ვადით მას ეძლევა საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე და შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან უნაზღაურდება ამ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 28. გამგეობის წევრთა კანდიდატურების დასახელების უფლება აქვთ საკრებულოს წევრებსა და პრეფექტს.

კანდიდატი გამგეობის წევრად არჩეულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა კენჭისყრის მონაწილე დეპუტატთა ნახევარზე მეტმა.

გამგეობის წევრი, გარდა გამგეობის თავმჯდომარისა (გამგებლისა), იმავდროულად არ შეიძლება იყოს დეპუტატი. დეპუტატის გამგეობის წევრად არჩევის შემთხვევაში იგი იხსნის დეპუტატის უფლებამოსილებას ან მის სადეპუტატო უფლებამოსილებას შეწყვეტს საკრებულო.

მუხლი 29. საკრებულოს არჩეულ წევრთა საერთო რაოდენობის ერთ მეხუთედს ან პრეფექტს შეუძლია მოითხოვოს გამგეობის თავმჯდომარის (გამგებლის) ან გამგეობის წევრთა თანამდებობიდან გათავისუფლება.

გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი), მისი მოადგილე ან გამგეობის წევრი გათავისუფლებულად ითვლება, თუ საკრებულოს სხდომაზე ამ წინადადებას მხარი დაუჭირა დეპუტატთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტმა.

მუხლი 30. გამგეობის წევრი თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, როგორც წესი, არ წყვეტს საწარმოო თუ სამსახურებრივ საქმიანობას. ამ საკითხს წყვეტს საკრებულო და ასახავს რეგლამენტში. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრი არ გათავისუფლდა საწარმო თუ სამსახურებრივი საქმიანობისაგან, მაშინ თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო ვადით მას გამგეობის სხდომის დროს და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ეძლევა საშუალო ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე და შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან უნაზღაურდება ამ ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 31. საკრებულოს გამგეობის სხდომებს საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც იწვევს გამგეობის თავმჯდომარე.

საკრებულოს გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა საერთო რიცხვის ორი მესამედი მაინც.

მუხლი 32. გამგეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს, ხოლო გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი) გამოსცემს განკარგულებებს.

გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს მის წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი ხმით, თუ სხვა წესი არ არის დადგენილი ამ კანონით ან საკრებულოს რეგლამენტით.

საკრებულოს გამგეობის გადაწყვეტილებებს ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე და გამგეობის სხდომის მდივანი, ხოლო განკარგულებებს — მხოლოდ თავმჯდომარე (გამგებელი).

მუხლი 33. საკრებულოს გამგეობა:

ა) სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის სფეროში;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, აუწყებს მოსახლეობას ამ მუშაობის შესახებ;

— წყვეტს კანონით გათვალისწინებული არჩევნების, საერთო-სახალხო განხილვისა და კენჭისყრის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— განიხილავს დეპუტატთა უფლებამოსილებების შეწყვეტასთან და ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს;

— კანონმდებლობის საფუძველზე და ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრავს გამგეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობებს.

ბ) ფინანსირების, ბიუჯეტისა და ქონების განკარგულების სფეროში:

— შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პერსპექტიულ გეგმებსა და ბიუჯეტს, უზრუნველყოფს შესრულებას. ამზადებს ანგარიშს მათი შესრულების შესახებ;

— კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას და არასაბიუჯეტო სახსრების მოზიდვას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს მიწასთან დაკავშირებულ დავას;

— კანონის შესაბამისად ანაწილებს და ჩამოართმევს მიწის ნაკვეთებს.

გ) მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის სფეროში:

— შეიმუშავებს მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე საბინაო მშენებლობის პროგრამას, ხელმძღვანელობს საბინაო მეურნეობას;

— აღრიცხვაზე აჰყავს მოქალაქეები, რომელთაც ესაჭიროებათ საბინაო პირობების გაუმჯობესება;

— კანონიერებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით ანაწილებს სახელმწიფო საბინაო ფონდს;

— ხელს უწყობს ყველა სახის სახელმწიფო ბინათმშენებლობის განვითარებას;

— ზრუნავს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებაზე;

— ხელს უწყობს კულტურის, განათლების დაწესებულებათა მუშაობას, ზრუნავს მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

— ხელს უწყობს მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

— წარმართავს მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ჯანდაცვის დაწესებულებათა მუშაობას, ზრუნავს მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის;

— ზრუნავს მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფისათვის, კანონით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესებულებათა ფუნქციებს;

— საკრებულოს მიერ დადგენილ ფარგლებში განაგებს სოფლის, დაბის, თემის, რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის ქონებასა და ფინანსებს;

— კანონით დადგენილი წესით ამტკიცებს მშენებარე, შესაკეთებელ და გასაფართოებელ ობიექტებსა და სატიტულო სიებს.

დ) ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში:

— შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს ბუნების დაცვის პროგრამას;

— წარმართავს ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და ექსპლოატაციას, ქმნის ბუნების დაცვის არასაბიუჯეტო ფონდებს;

— ბუნების დაცვის სფეროში უხეში დარღვევის შემთხვევაში დროებით აჩერებს საწარმოების საქმიანობას, ობიექტების მშენებლობას და დაუყოვნებლივ აუწყებს ამის შესახებ პროკურატურის შესაბამის ორგანოებსა და პრეფექტებს;

— აკონტროლებს ბუნებრივი რესურსების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებას;

— ზრუნავს ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითმოქმედებისა და ხალხური რეწვის განვითარებაზე;

— ზრუნავს ეროვნული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისათვის;

— წარმართავს ფიზიკური კულტურის, სპორტისა და დასვენების ზონების შექმნის საქმეს, ზრუნავს მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის.

ე) კომუნალური მეურნეობის, მომსახურებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის დარგში:

— ხელმძღვანელობს შესაბამისი კომუნალური მეურნეობის და მომსახურების ობიექტების ექსპლოატაციას;

— უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

— აკონტროლებს კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობას;

— აკონტროლებს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობას, ხელს უწყობს ინდივიდუალურ ვაჭრობას, ხსნის ბაზრებს, აწყობს ბაზრობებს;

— უზრუნველყოფს სასაფლაოთა მოვლა-პატრონობას.

ვ) მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში:

— უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მოქალაქეთათვის დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას;

— განიხილავს მოქალაქეთა წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს;

— უზრუნველყოფს სანოტარო მოქმედებების შესრულებას და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას კანონით დადგენილი წესით;

— საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენებას;

— უზრუნველყოფს საპასპორტო რეჟიმის დაცვას;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

— აჩერებს მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, კოოპერატივების კანონსაწინააღმდეგო აქტების მოქმედებას და გასაუქმებლად წარუდგენს მათ საკრებულოს უახლოეს სხდომას;

— სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიის, ეპიზოოტიის, ხანძრის და სხვა უბედურების დროს ახორციელებს განსაკუთრებულ ღონისძიებებს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის, მატერიალურ ფასეულობათა შენარჩუნების, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 14 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

„სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოების სტრუქტურის, კომპეტენციის და მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი საწყისების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **აკაკი ასათიანი.**

თბილისი. 1991 წლის 14 მაისი.

პრეზიდენტობის კანდიდატების ტელევიზიით გამოსვლის გრაფიკი 18-დან 25 მაისამდე

გამოსვლის დღეები

	18	19	20	21	22	23	24	25
გამოსვლის საათები								
ზვიად გამსახურდია	21.40;	22.40;	22.40;	22.40;	22.40;	23.00;	23.00;	23.00;
ირაკლი შენგელაია	22.40;	19.20;	20.20;	20.20;	20.20;	20.40;	20.40;	20.40;
ჯემალ მიქელაძე	19.20;	19.40;	20.00;	20.00;	20.00;	20.20;	20.20;	20.20;
ვალერიან ადვაძე	19.40;	20.00;	21.40;	21.40;	21.40;	22.00;	22.00;	22.00;
თამაზ კვაჭანტირაძე	20.00;	20.20;	19.40;	19.40;	19.40;	20.00;	20.00;	20.00;
ნოდარ ნათაძე	20.20;	21.40;	19.20;	19.20;	19.20;	19.40;	19.40;	19.40;

ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საზღვარგარეთ

ამერიკული პრესა საქართველოს შესახებ

თბილისთან დაძმობილებული ამერიკული ქალაქის ატლანტას გაზეთი „ატლანტა ჯორნელი“ საკმაოდ ხშირად აქვეყნებს მასალებს საქართველოს შესახებ. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

შარშან წლის დამლევს „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტი ნიკ უოროლი ატლანტის გაზეთში წერდა —საქართველოს ეროვნული ძალების განსაცვიფრებელმა გამარჯვებამ არჩევნებში ნათელი გახადა, რომ პრეზიდენტ გორბაჩოვის სამფლობელოდან დასხლტა კიდევ ერთი ნაწილი.

სამხრეთის ამ თბილი რესპუბლიკის ხშირი სტუმრები ირწმუნებოდნენ, რომ ეს გარდაუვალი იყო მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ 1989 წლის 9 აპრილს მოკლა 20 მშვიდობიანი დემონსტრანტი.

ამ უბედური მოვლენის წლისთავზე სამასი ათასზე მეტმა კაცმა მდუმარედ და პირქუშად ჩაიარა რუსთაველის გამზირზე და ფილაქანზე ქუჩის გასწვრივ, სადაც ჟლეტა იყო გაჩაღებული, დააწყო მილიონობით წითელი მიხაკი.

დღეს კომუნისტები ახალი რეალობის წინაშე დგანან. ვლადიმერ ლენინის ყველა მონუმენტი ჩამოგდებული იქნა და ზვიად გამსახურდიამ, ეროვნული მოძრაობის ვეტერანმა, ძალაუფლება გამოჰგლიჯა მათ. მას შემდეგ, რაც მან ხმების დიდი უპირატესობით გაიმარჯვა 28 ოქტომბრის არჩევნებში. მრგვალმა მაგიდამ — თავისუფალმა საქართველომ, რომელიც აერთიანებს 7 პოლიტიკურ ჯგუფს, კომუნისტებზე ერთიორად მეტი ხმა მიიღო და უზენაეს საბჭოში ადგილების 70 პროცენტზე მეტი დაიკავა.

ახალი ხელმძღვანელობისათვის ჯერ ყველაფერი არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი. ბატონი გამსახურდია, ფილოლოგი, ვინც თარგმნა შექსპირი და ელიოტი ქართულად, ამბობს, რომ იგი არ „თამაშობს საპრეზიდენტო თამაშებს“ და ელოდება მოვლენების განვითარებას საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად.

ბატონი გამსახურდია ძალიან პოპულარული პიროვნებაა და ეს მას და სხვა გამოჩენილ ეროვნულ ლიდერებს მისცემს შანსს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მაგრამ აქ არის ერთი სირთულე: ალტერნატიული პარლამენტი, რომელსაც ეწოდება ეროვნული კონგრესი. იგი შარშან ოქტომბერში იქნა არჩეული 1 მილიონი ხმით 3 მილიონი ხმის უფლების მქონე მოსახლეობიდან. ეროვნული მთავრობის ფონზე კონგრესის როლი გაურკვეველია. უფრო სწორედ იგი ზედმეტია. იგი არის არასაჭირო დამატებითი პოლიტიკური ერთეული, რამაც შესაძლებელია ბატონ ზვიად გამსახურდიას დამატებითი სირთულეები შეუქმნას.

საარჩევნო კამპანია გამოირჩეოდა სიტყვიერი შეურაცხყოფით მრგვალი მაგიდის მხარდამჭერთა და არჩევნების მოწინააღმდეგეთა შორის. მაგალითად, ახალგაზრდა ნაციონალისტი გია ჭანტურია მას მერე გაბოროტდა, რაც არჩევნებამდე ორი დღით ადრე ქუჩაში ესროლეს და მსუბუქად დაჭრეს.

ბატონმა გამსახურდიამ დაგმო ეს თავდასხმა. ბევრმა ქართველმა დაინახა, რომ ამ შემთხვევის ორგანიზაციის გეგმა ეკუთვნოდა „სუკს“, რათა დაეშინებინათ მოსახლეობა და მათ კომუნისტებისათვის მიეცათ ხმა.

კომუნისტებმა გამოაჩინეს თავიანთი შინაგანი არსი. ხელისუფლების შესანარჩუნებლად ისინი საქართველოს 5-მილიონიან მოსახლეობას დაჰპირდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, საბჭოთა კავშირიდან გამოყოფას.

როდესაც არჩევნების დღე გათენდა, ქართველები ერთსულოვნად გაეშურნენ ხმის მისაცემად.

ბატონ გამსახურდიას გამარჯვების საფუძველი უკვე ჩაყრილი ჰქონდა, ხალხი ხედავდა, რომ კომუნისტების მმართველობას ბოლო ეღებოდა.

მიმდინარე წლის 9 აპრილს „ატლანტა ჯორნელმა“ სათაურით „საქართველომ გამოაცხადა თავისუფლება“ დაბეჭდა მასალა, სადაც აღნიშნულია, საქართველოს პარლამენტმა დღეს გამოაცხადა, რომ რესპუბლიკა საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებელია. ეს ამბავი მოჰყვა გასულ თვეში ჩატარებულ რეფერენდუმს, რომლის დროსაც ქართველთა დაახლოებით 100 პროცენტმა დამოუკიდებლობა მოითხოვა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამართა საგანგებო სესია და ერთსულოვნად მიიღო დეკლარაცია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის“ შესახებ.

საბჭოთა პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა საქართველოში ჩატარებულ რეფერენდუმს არაკანონიერი უწოდა, მაგრამ არ შეეცადა ძალით მის ჩაშლას.

დღევანდელ დეკლარაციას საფუძვლად უდევს 1918 წლის 26 მაისის საქართველოს თავისუფლების დეკლარაცია, რომელმაც ქართველებს საშუალება მისცა გასულიყვნენ რუსეთის ყოფილი იმპერიიდან.

close 43 US military bases
The Atlanta Journal
Georgia
Pollution spending to rise by 50%
Georgia's Civil Strife Reveals Danger of New
Soviet Georgia Names Nationalist President
Norway to reform ailing tax system

„ამ მოძრაობით საქართველო გაჰყვა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მაგალითს, რომლებსაც საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა სურთ“, — აღნიშნავს გაზეთი.

საქართველო მრავალეროვნული რესპუბლიკაა, სადაც 5,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. იგი სოლივით არის შეჭრილი კავკასიონის მთიანეთსა და შავ ზღვას შორის. საქართველომ რუსეთის იმპერიიდან დამოუკიდებლობა გამოაცხადა პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, მაგრამ შემდეგ ძალადობით შეიერთა საბჭოთა კავშირმა. დაახლოებით სამი წლის შემდეგ კი 1924 წელს კავშირის შეთანხმებით განამტკიცა ეს ანექსია.

დღევანდელი დეკლარაცია მიღებულ იქნა სპორადულ ბრძოლაში ეთნიკურ ქართველებსა და სამხრეთის ოსებს შორის, რომელმაც გასულ თვეებში 50-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სამხრეთის ოსებს, სურთ იყვნენ კრემლის მიმართ ლოიალურად განწყობილი ავტონომიური რესპუბლიკა, იმ დროს როდესაც ქართველებს გამოყოფა სურთ.

საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ორშაბათს დეპეშა გაუგზავნა მიხეილ გორბაჩოვს მოთხოვნით გაიყვანოს საბჭოთა ნაწილები სამხრეთ ოსეთიდან.

ბატონმა გამსახურდიამ გააფრთხილა, რომ თუ ჯარის ნაწილებს არ გაიყვანენ, მაშინ იგი მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა მუშას დატოვონ სამსახური და მხარი დაუჭირონ საბჭოთა მემაღაროეების მოთხოვნებს გორბაჩოვის გადაყენების შესახებ.

საქართველო ერთ-ერთია იმ ხუთი რესპუბლიკიდან, მოლდოვასა და ბალტიის სამი რესპუბლიკის ჩათვლით, რომლებმაც უარი თქვეს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში მონაწილეობაზე. დანარჩენმა ცხრა რესპუბლიკამ კი, რომლებიც მთელი ქვეყნის მოსახლეობის სამ მეოთხედს შეადგენენ, მიიღეს მონაწილეობა რეფერენდუმში. აქედან 76 პროცენტმა კავშირის შენარჩუნებას მისცა ხმა.

იგივე გაზეთის კორესპონდენტმა ელენ კარეიმ დაბეჭდა სტატია სათაურით „დისიდენტი პრეზიდენტი მართავს საბჭოთა საქართველოს“.

საბჭოთა საქართველოს პრეზიდენტად ორშაბათს აირჩიეს ყველაზე გამოჩენილი დისიდენტი, ჰუმანური უფლებებისათვის მებრძოლი და ანტიკომუნისტი პიროვნება. იგი შეჰპირდა თავის ამომრჩევლებს საბჭოთა ხელმძღვანელობიდან ქვეყნის განთავისუფლებას ხუთ წელიწადში.

პარლამენტის მიერ არჩეული 51 წლის ზვიად გამსახურდია არის პირველი ქართველი ადამიანი, რომელიც არჩეულ იქნა მრავალპარტიული არჩევნების შედეგად მას მერე, რაც საბჭოთა კავშირმა 1921 წელს ამ რეგიონის ანექსია მოახდინა.

გამსახურდიამ მიიღო 232 ხმა მაშინ, როდესაც ოპოზიციის მხოლოდ ხუთი წარმომადგენელი წავიდა მის წინააღმდეგ.

არჩევნების შემდეგ 1921 წლის დამოუკიდებელი საქართველოს დროშა აღიმართა მთავრობის სახლზე, პარლამენტის წინ.

ბატონმა გამსახურდიამ, მაღალმა და არისტოკრატული ქცევის კაცმა, თქვა, რომ საქართველოს კონსტიტუცია უნდა გაუმჯობესდეს და სამხრეთის ეს რესპუბლიკა სასწრაფოდ გაეცალოს საბჭოთა კავშირს.

პარლამენტმა, თქვა მან, უპირველეს ყოვლისა, რეკომენდაცია მისცა კონსტიტუციიდან ამოეღოთ ისეთი საბჭოთა ტერმინები, როგორიც არის „კომუნისტი“ „საბჭოთა“, „სოციალისტი“ და „რევოლუციონერი“.

რესპუბლიკის სახელი, თქვა მან, შეიცვალა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნაცვლად საქართველოს რესპუბლიკაა.

ბატონმა გამსახურდიამ თქვა, რომ მას უნდა შექმნას არმია და პოლიციის ძალები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან მხოლოდ პარლამენტის წინაშე. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ აპირებს დასვას საკითხი პარლამენტში, რომ მოქალაქეებს უფლება მიეცეთ პირადად მიიღონ მონაწილეობა ბიზნესსა და ინდუსტრიაში. ეს არის პრეზიდენტ გორბაჩოვის და საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ საპირისპირო კურსი.

ბატონი გამსახურდია მეორე დისიდენტია, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა მას მერე, რაც დაპატიმრებული იყო საბჭოთა ავტორიტარიზმის მიერ. სომხეთის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი აგვისტოში აირჩიეს. მანაც რამდენიმე ხანი ციხეში დაყო.

„ატლანტა ჯორნელში“ 15 აპრილს ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიერ დაბეჭდილი მასალის სათაური იყო „საქართველო ირჩევს პრეზიდენტს და ისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ“.

დამაჯერებელი ნაბიჯი თავისი დამოუკიდებლობისაკენ გადადგა საქართველოს პარლამენტმა, რომელმაც ორშაბათს თავისი ლიდერი პრეზიდენტის მტკიცე პოსტზე აიყვანა.

ზვიად გამსახურდიამ, ანტიკომუნისტმა ლიდერმა და ყოფილმა პოლიტიკურმა პატიმარმა, რესპუბლიკაში შექმნა ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, რომლის დროსაც პრეზიდენტს უფლება აქვს მიიღოს მოქალაქეობის ცენზი და გამოაცხადოს ომი.

ორშაბათის აქცია გაგრძელება იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საბჭოთა კავშირიდან გამოყოფისა. ბატონმა გამსახურდიამ აღნიშნა, რომ მტკიცე მმართველობა საჭიროა, თორემ სამხრეთის რესპუბლიკა სწრაფად ვერ განახორციელებს განვითარების პროცესს და ვერ გადაიქცევა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ბატონი გამსახურდია ამ პოსტზე იქნება პრეზიდენტის გენერალურ არჩევნებამდე, რომელიც დანიშნულია 26 მაისს, საქართველოს პირველი თავისუფლების დეკლარაციის გამოცხადების დღეს. ეს მოხდა 1918 წელს. 1921 წელს კი საბჭოთა კავშირმა საქართველო ძალმომრეობით შეიერთა.

პარლამენტის დეპუტატებმა მხურვალედ მიულოცეს ბატონ ზვიად გამსახურდიას. „საქართველო განსაცდელშია“, აღნიშნა მან თავის საბოლოო სიტყვაში, როდესაც იდგა მარმარილოს სვეტებიან დარბაზში დამოუკიდებელი საქართველოს შავი, თეთრი და შინდისფერი ზოლებიანი დროშის წინ.

ბატონმა გამსახურდიამ კანონმდებლები გააფრთხილა, რომ დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ რესპუბლიკაში სერიოზული ვითარება შეიქმნება.

საქართველოს ჩრდილოეთით, სამხრეთის ოსეთში მიმდინარე ეთნიკური ძალადობა კრემლმა სწრაფად გამოიყენა და 1500-კაციანი შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო შენაერთი გაგზავნა. დამოუკიდებლობის მომხრე საქართველოს ლიდერი შიშობს, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი აპირებს ძალადობით იმოქმედოს გამოყოფის მომხრე რესპუბლიკის წინააღმდეგ. ბატონმა გამსახურდიამ ხაზი გაუსვა, რომ მას იმედი აქვს საერთაშორისო მხარდაჭერისა კრემლის ძალადობის წინააღმდეგ და დაიცავს მოსახლეობის ინტერესებს. თუ მომავალში საქართველოს მოსახლეობა ამირჩევს ამ პოსტზე, მე გავამართლებ მათ ნდობას, აღნიშნა მან.

10 აპრილის გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსში“ კორესპონდენტმა ფრენსის კლაინმა გამოაქვეყნა სტატია „რესპუბლიკის პარლამენტმა ერთსულოვნად გამოაცხადა მოსკოვისაგან დამოუკიდებლობა“. მასში ნათქვამია: გუშინ საქართველოს რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რამაც პრეზიდენტ გორბაჩოვის პრობლემებით აღსავსე მმართველობის საბჭოთა ხანაში დამატებითი არეულობა შეიტანა. სამხრეთის რესპუბლიკის პარლამენტის ერთსულოვანი გადაწყვეტილება სასიამოვნო სიურპრიზი იყო თბილისისათვის, საქართველოს დედაქალაქისათვის. ქართველთა 98 პროცენტმა ხომ ცხრა დღით ადრე მოწყობილ რეფერენდუმში მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას.

პარლამენტის გადაწყვეტილება დაემთხვა მე-2 წლისთავს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა თბილისში დახოცეს პროტესტის გამომხატველი 19 მოქალაქე.

გლოვის წლისთავი დილით შეცვალა დეკლარაციის გამოცხადებით გამოწვეულმა საყოველთაო ზეიმმა, რომელიც გვიან ღამემდე გაგრძელდა. ქართველები ერთმანეთს ულოცავდნენ და ზეიმობდნენ თავისუფლებისაკენ მიმავალი გზით გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს, თავისუფლებისა, რომელიც 1921 წელს დაკარგეს, როდესაც ბოლშევიკთა ჯარებმა მათი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინეს.

პარლამენტის გადაწყვეტილება საბოლოო არ არის. თავის საზეიმო გამოსვლაში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ „ეს აქტი არ ნიშნავს საბჭოთა კავშირიდან ფაქტობრივ გამოსვლას“, რომ მომდევნო 2-3 წლის მანძილზე საჭირო იქნება მთელი რიგი ნაბიჯების გადადგმა საკუთარი მმართველობის დასამყარებლად.

პრეზიდენტი გორბაჩოვი კვლავ აგრძელებს თავის კამპანიას საბჭოეთის შესანარჩუნებლად, რომელიც დაფუძნებულია ძლიერ ცენტრალიზებულ მმართველობაზე და არა ფართო მასშტაბის სუვერენული ან დამოუკიდებელი რესპუბლიკების კონფედერაციის შექმნაზე, როგორც ამას მრავალი რესპუბლიკის გამოყოფის მომხრე მოძრაობა მოითხოვს.

საქართველო არის ამაყი და ძველთაძველი ქვეყანა, რომლის 5-მილიონიანმა მოსახლეობამ აშკარად ცხადყო კომუნიზმისა და კრემლის ცენტრალური მმართველობის მიუღებლობა. ეს იყო ხანგრძლივი, მომქანცველი მოძრაობა, რომელიც დაგვირგვინდა შარშანდელი არჩევნებით, როდესაც კომუნისტებმა კონტროლი დაკარგეს პარლამენტში ბატონი გამსახურდიას მებრძოლი კოალიციის წინაშე.

პრაქტიკული თვალსაზრისით დეკლარაცია რადიკალურად არ ცვლის კრემლსა და რესპუბლიკებს შორის არსებული ფუნქციების გამიჯვნას და ფაქტობრივად არეგულირებს მას.

ბატონი გორბაჩოვი ცდილობდა დაეინტერესებინა რესპუბლიკები თავისი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებით, რომელიც მას მეტ ძალაუფლებას ანიჭებდა, მაგრამ ბევრი რესპუბლიკა სკეპტიკურად შეხვდა ამას, ვინაიდან საბჭოთა მთავრობა სულ უფრო მეტად აწყდება ეკონომიკურ ქაოსსა და პოლიტიკურ კრიზისს.

ბატონი გამსახურდია აცხადებს, რომ საქართველოს სჭირდება უცხოეთის მხარდაჭერა, რათა განამტკიცოს თავისი მოთხოვნები. იგი მოითხოვს თავისი ქვეყნის ისტორიულ დამოუკიდებლობას, რომელსაც ფესვები გადგმული აქვს უძველეს კულტურაში და რომელმაც თავის აპოგეას XII საუკუნეში მიაღწია თამარ დედოფლის (მეფის) დროს კავკასიის იმპერიის შექმნით.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა მერყევია და გარკვეულწილად მოსკოვის დახმარებაზეა დამოკიდებული. იგი ამასწინათ გახდა კერა მოსკოვის ხრიკებისა. გამსახურდიას მთავრობა, რომელიც უმრავლესობის ინტერესებს წარმოადგენს, წააწყდა 65000 ოსი უმცირესობის მოთხოვნას, რომლებიც საქართველოს საზღვარზე ცხოვრობენ და ამ მოძრაობის შეჩერება მოუწია.

60 ადამიანზე მეტი იყო მოკლული სამხრეთ ოსეთში მას შემდეგ, რაც საბჭოთა პარლამენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ბატონმა გამსახურდიამ გორბაჩოვს ჩრდ. საქართველოდან ფრაქციული შეტაკებების თავიდან აცილების მიზნით შეყვანილი საბჭოთა არმიის ნაწილების გაყვანა მოსთხოვა.

კრემლს რეაქცია არ ჰქონდა თბილისის დეკლარაციაზე დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, მაგრამ გორბაჩოვმა წამოაყენა „ანტიკრიზისული გეგმა“ ერთა კავშირის შენარჩუნების მიზნით. მან ხაზი გაუსვა გასულ თვეს რეფერენდუმის ჩატარების მნიშვნელობას, რომელშიც განსაკუთრებით აღნიშნა 15 რესპუბლიკის გაზრდილი სუვერენიტეტი.

საქართველოში გამოყოფის მომხრე ხმის მიმცემთა უმრავლესობამ ჩაშალა რეფერენდუმი იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის ძირითადი მიზანი სრული დამოუკიდებლობის მოპოვებაა.

რამდენიმე სტრიქონით

ალაბამის შტატის საოლქო სასამართლომ ამავე შტატის 37 წლის მცხოვრებს დევიდ ჩენდლერს სიკვდილი მიუსაჯა პოლიციის აგენტის მკვლელობის და სხვა დანაშაულებებისათვის. ამრიგად, ჩენდლერი პირველი ამერიკელია, რომელსაც სიკვდილი მიუსაჯეს 1988 წლის კანონის საფუძველზე.

21 მაისს საბჭოთა კავშირში დანიშნულია სამოქალაქო ავიაციის მუშაკთა გაფიცვა. ამასთან დაკავშირებით ერევანში განაცხადეს, რომ სომხეთის ავიაკომპანია, რომელიც ახლახან დამოუკიდებელი გახდა, გაფიცვაში მონაწილეობას არ მიიღებს.

სომხეთიდან მიღებული ცნობით პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა განაცხადა, რომ კრემლის ვერავითარი შემოტევა ვერ შეაჩერებს მისი რესპუბლიკის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ.

„ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის ცნობით, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტი შეერთებულ შტატებში ტრიუმფით მიმდინარეობს. როგორც რედაქცია აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძეს ახლა საბჭოთა მთავრობაში არავითარი ოფიციალური თანამდებობა არ უკავია, იგი შეხვდა პრეზიდენტს და ოფიციალურ პირებს. მათ შორის, კონგრესის ლიდერებსაც.

პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტის მოდერნიზაციისათვის უახლოეს დროში 11 მილიარდი ფრანკი დაიხარჯება. ამის შემდეგ მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 22 მილიონი მგზავრიდან 35 მილიონამდე გაიზრდება. ეს აეროპორტი უდიდესი გახდება საფრანგეთში.

გაზეთ „დეილი ნიუსის“ ცნობით, შრი ლანკის არმიის ჯარისკაცებმა აჯანყებულ „ტამილების განთავისუფლების ვეფხვების“ სამხედრო ბანაკის წამების საკანში აღმოაჩინეს კაციჭამია ნიანგი. „ვეფხვები“ დაკითხვის მერე ნიანგს ცოცხლად აჭმევდნენ ტყვეებს.

პრაღაში განმეორებით „შეურაცხყვეს“ საბჭოთა ტანკი, რომლის აღებასაც მოითხოვს მოსახლეობის დიდი ნაწილი. გადმოცემით ეს საბჭოთა ტანკი პირველი შეიჭრა ჩეხეთ-სლოვაკეთის დედაქალაქში. ამჯერად „მღებრებად“ მოგვევლინა ქვეყნის პარლამენტის 15 დეპუტატი. მათ ტანკი წითლად შეღებეს.

ბრაზილიის ანტიალკოჰოლური ბრძოლის სამსახური იუწყება, რომ ქვეყანაში 11 მილიონი ლოთია, რომლებმაც შარშან სასმელში 26 მილიარდი დოლარი დახარჯეს. არაოფიციალური მონაცემებით, საბჭოთა კავშირში 40-60 მილიონი ლოთია.

„უოლ სთრით ჯორნელი“ შევარდნაძის შესახებ

ამერიკულმა გაზეთმა „უოლ სთრით ჯორნელმა“ 13 მაისს დაბეჭდა სტატია, სადაც აღნიშნავს, რომ ბატონ შევარდნაძის მტკიცების მიუხედავად, რომ იგი საბჭოთა კავშირში დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერია, არსებობს ბნელი და ძალიან უხეში წარსული, რომელიც დაკავშირებულია მის კარიერასთან, როდესაც იგი 1965-დან 1971 წლამდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, შემდეგ კი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ორივე თანამდებობაზე იგი პასუხისმგებელია ანტიკორუპციული კამპანიისათვის, რაც ფაქტობრივად წმენდა იყო. სტატიაში ნათქვამია, რომ ადვილი არ არის საქართველოში ბატონ შევარდნაძის ღონისძიებების თაობაზე დეტალების მიღება. იმდროინდელი არალეგალური გამოცემები, ასევე სხვა წიგნები, რომლებიც საბჭოთა და საქართველოს დისიდენტებმა გამოაქვეყნეს, მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს. ბატონ შევარდნაძის მმართველობის დროს საქართველოში დაპატიმრებული იყო 25 ათასი კაცი, რომელთაგან დიდი ნაწილი პარტიისა და კომკავშირული ორგანიზაციის წევრი იყო. ცნობები ადასტურებს, რომ ბატონი შევარდნაძე რეპრესიებსა და წამებას მიმართავდა საქართველოში თავისი ლიდერობის დროს. ამის დამადასტურებელი ფაქტები მოცემულია ბატონ ზვიად გამსახურდიას რუსულად გამოქვეყნებულ წიგნში, რომელსაც ეწოდება „წამება საქართველოში“, აგრეთვე გუგუშვილის წიგნში, ასევე ლუდმილა ალექსეევას გამოცემაში, რომელსაც ეწოდება „დისიდენტის ისტორია საბჭოთა კავშირში“.

ხმა ამერიკიდან

ოთხი ათეული წელია ვაშინგტონიდან ეთერში გაისმის ქართული სიტყვა. ამ თარიღს ფართოდ აღნიშნავენ „ამერიკის ხმის“ რედაქციის თანამშრომლები, ჩვენი თანამემამულეები. ეს დღე ერთნაირად ძვირფასია მათთვის, ვინც მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, მაინც ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს, და იმათთვისაც, ვინც დღეს თავისუფლად უზის მიკროფონს და მის მშობლიურ ქვეყანას ასმენინებს თავის ხმას.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, რომელიც ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს — 26 მაისს, „ამერიკის ხმის“ ქართულ გადაცემათა რედაქციიდან თბილისში მოვიდა დეპეშა: „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილება „მეორმოცე წლისთავის გამო მიესალმება და მადლობას უხდის თავის მსმენელებს ოთხი ათეული წლის განმავლობაში ლოიალობისათვის“.

სულ რაღაც ხუთიოდე წელია თავისუფლად ვისმენთ „ამერიკის ხმის“ ქართულ გადაცემებს, ახლა ქართველი რადიოჟურნალისტები ნაყოფიერად თანამშრომლობენ მათთან. კიდევ დიდხანს ისმოდეს ეთერში „ამერიკის ხმის“ ქართული სიტყვა—სიმართლის, იმედის, გამარჯვების, თავისუფლების მაუწყებელი სიტყვა. საქინფორმი.

დღეს–ხვალისათვის

ვუხმობთ საქართველოს ბუნების ქომაგთ

ერთად შევქმნათ გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული კონცეფცია

დიდაბუნება... დედამიწა... სიტყვების ასეთი წყობით დაგვბანათლეს წინაპრებმა ქართველ ერს პასუხისმგებლობის ის გრძნობა, რომლითაც ბუნებასთან დამოკიდებულებაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ მუდამ — როგორც მშობელ დედას მოვუაროთ მიწას — მარჩენალს, ბუნებას — მასაზრდოებელს.

გარემოს დაცვა ჩვენში ადრეც წარმოადგენდა სახელმწიფო სტრუქტურების პრეროგატივას, მაგრამ მცდარ კონცეფციურ და იდეურ საფუძვლებს დამყარებული, იგი უმთავრესად დეკლარაციული ხასიათის იყო და, როგორც სახალხო მეურნეობის მართვის ტოტალიტარული სისტემის შემადგენელი ნაწილი, ფაქტობრივად მოკლებული იყო ამ სფეროში შექმნილ სავალალო მდგომარეობაზე რაიმე რეალური ზეგავლენის უნარს.

რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიმდინარე წლის 9 აპრილის ისტორიული აქტის მიღებით 1921 წელს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა გამოაცხადა, მაგრამ, რა თქმა უნდა, რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად გარკვეული დროა საჭირო, ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნისათვის მყარი ეკონომიკური საფუძვლის შექმნა, რაც ძალზე ძნელია სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების კონცეფციური დებულებების შეუმუშავებლად. მიმდინარე ეტაპზე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებათა საქმიანობის მიზანი უწინარესად ეს უნდა იყოს. სწორედ ამ კონცეფციათა ერთობლიობამ უნდა შექმნას ქარგა იმ ეროვნული პოლიტიკისა, რომლითაც იხელმძღვანელებს რესპუბლიკის ახალი მმართველობითი სისტემა საქართველოს წინსვლის გზაზე.

გამონაკლისი არც ჩვენი დარგია, ჩვენც უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ახალი ეროვნული კონცეფციის ჩამოყალიბება გვესახება. მისი პრინციპული სიახლე იმით უნდა გამოიხატოს, რომ გარემოს დეგრადაციის შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა შეიცვალოს მავნე ეკოლოგიურ მოვლენათა გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ძალისხმევით. ჩვენი აზრით, სწორედ ეს იდეა უნდა გახდეს ფუძემდებელი პრინციპი ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის ახალი ეროვნული კონცეფციისა, რომელმაც საკანონმდებლო, სამეურნეო, სამეცნიერო და სოციალურ საკითხთა ფართო სფერო უნდა მოიცვას. შესაბამისად ამისა უნდა შემუშავდეს ბუნების დაცვის სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების, ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის, ბუნებრივი რესურსების აღრიცხვისა და გამოყენების რეგულირების დახვეწის, სამეცნიერო-ტექნიკურ სამუშაოთა კოორდინაციის, გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სახელმწიფო ქსელის ორგანიზაციის, მიწის, წიაღის, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს დაცვის უზრუნველმყოფ ღონისძიებათა გრძელვადიანი სახელმწიფო პროგრამები.

ღრმად გვწამს, რომ პრობლემისადმი სწორედ ამგვარი მიდგომით არის ნაკარნახევი საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობის მიერ პირველად ჩვენი ერის ისტორიაში სახელმწიფო მართვის თვისებრივად ახალი სტრუქტურული ერთეულის — ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტროს შექმნა, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ჩვენი ამოცანის ეროვნული მნიშვნელობა.

სამინისტრო ამჟამად ჩამოყალიბების სტადიაშია, ისაზღვრება თვით მისი და დაქვემდებარებული სამსახურების სტრუქტურა, სტატუსი, იურისდიქცია, დარგის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები; პარალელურად მიმდინარეობს დაძაბული მუშაობა გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ეროვნული კონცეფციის შესამუშავებლად. ვფიქრობთ, საბოლოო სახით მისი ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი იქნება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ცალკეული სპეციალისტების, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მოსაზრებებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

დედაბუნების დაცვა საშვილიშვილო საქმე და ყველა ჩვენთაგანის ეროვნული მოვალეობაა. ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო დაბეჯითებით მოგმართავთ ყველას, ვისაც აწუხებს ჩვენი მიწა-წყლის ბედი, ერის მომავალი, გამოეხმაუროთ ამ მოწოდებას. ჩვენ კი მადლიერების გრძნობით მივიღებთ ყოველ კონკრეტულ წინადადებას, გავითვალისწინებთ თქვენს ყველა სურვილს.

ველით თქვენს დახმარებასა და მხარდაჭერას.

ჩვენი მისამართი: 380086, ქ. თბილისი, მინდელის ქ. № 9. ტელ.: 38-58-39; 36-23-61.

საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და ბუნებათსარგებლობის სამინისტრო.

საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის მეანაბრეთა საყურადღებოდ!

1991 წლის 1-ივლისამდე შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ხდება მოსახლეობის ანაბრებზე, სერთიფიკატებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე არსებული ფულადი სახსრების გადაფასება 1 მარტის მდგომარეობით და საკომპენსაციო გადასახდელების გაანგარიშება ანაბრებზე არსებული ნაშთის 40 %-ის გაზრდით.

გადაანგარიშებას ექვემდებარება ანაბრები, რომლებსაც მეანაბრე ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადარიცხავს თავის სახელზე; აგრეთვე ვადიანი ანაბრები, რომლებიც გადაფორმებულია ვადიანი ანაბრის ახალი პირობით და რომლებსაც შემოსავალი ერიცხება 1990 წლის 1 ნოემბრიდან, მიუხედავად მათი გადაფორმების თარიღისა.

200 მანეთამდე კომპენსაციის თანხა ემატება ანაბრის ნაშთს და მისი გატანის უფლება მეანაბრეს ეძლევა 1991 წლის 1 ივლისის შემდეგ. თუ კომპენსაციის თანხა აღემატება 200 მანეთს, ის ჩაირიცხება სპეცანგარიშზე იმ უფლებით, რომ გამოყენებული იყოს სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ და ამ თანხაზე ცალკე გაიცემა საშემნახველო წიგნაკი 1 ივლისის შემდეგ.

სპეცანგარიშზე გადატანილ თანხებს შემოსავალი დაერიცხება 1991 წლის 1 მარტიდან მოქმედი საპროცენტო განაკვეთის ანუ წლიური 7%-ის ოდენობით.

აღნიშნული სპეცანგარიშის მფლობელებს ცალკეულ შემთხვევაში უფლება ეძლევათ 3 წლის ვადის გასვლამდე გადარიცხონ ეს თანხები უნაღდო ანგარიშსწორების გზით საცხოვრებელი ბინების ან 5000 მანეთზე მეტი ღირებულების კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის შესაძენად, კოოპერატიული ბინების მშენებლობის პირველი შესატანისა და მებაღეობისა და ბინათმშენებლობის სესხის დასაფარავად. აღნიშნულ შემთხვევაში საკომპენსაციო თანხას შემოსავალი წლიური 7%-ის ნაცვლად მიერიცხება 2%-ის ოდენობით.

კომპენსაცია მიერიცხება ანაბრებს, რომლებიც 1991 წლის 1 — მარტიდან 25 მარტამდე გადაფორმებულია მეანაბრის ნათესავების: ქმრის, ცოლის, შვილების, შვილიშვილების ან მემკვიდრეების სახელზე, აგრეთვე ანაბრებს, რომლებიც გახსნილია 1991 წლის 1-დან 25 მარტამდე შემნახველ ბანკში შესაბამად ჩაბარებული 1982 წლის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ღირებულების ხარჯზე. გარდა ამისა კომპენსაცია დაერიცხება ამ პერიოდში დახურული ანაბრების ხარჯზე შესყიდულ და შემნახველ ბანკზე შესაბამად მიბარებულ სახაზინო ვალდებულებებს და სერთიფიკატებს.

საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად მიმავალ მეანაბრეზე გამონაკლისის სახით გაიცემა სპეცანგარიშზე არსებული თანხის დამადასტურებელი საშემნახველო წიგნაკი 1991 წლის 1 ივლისამდე იმ უფლებით, რომ გამოყენებული იყოს სამი წლის შემდეგ.

კომპენსაცია მიეცემათ აგრეთვე ბამის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელოვან სახალხო მეურნეობის ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე დასაქმებულ მუშამოსამსახურეებს, რომლებსაც ავტომობილების შესაძენი სპეცანაბრები გახსნილი ჰქონდათ 1991 წლის 1 მარტამდე. ამ პირებზე წარმოდგენისთანავე გაიცემა ახალი მიზნობრივი საანგარიშსწორებო ჩეკი ავტომობილების შესაძენად კომპენსაციის თანხის დამატებით.

1991 წლის 1 მარტამდე შეძენილი სერთიფიკატების და სახაზინო ვალდებულების 1994 წლის 1 მარტამდე წარმოდგენის შემთხვევაში, მათი განაღდება მოხდება ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელის განცხადების საფუძველზე. კომპენსაციის თანხა, ნომინალური ღირებულების 40%-ის ოდენობით ჩაირიცხება ფასიანი ქაღალდის მფლობელის სახელზე გახსნილ სპეცანგარიშზე.

სახელმწიფო უპროცენტო მიზნობრივი ობლიგაციის მფლობელებს 1993 წლის 1 იანვრიდან მიეცემათ კომპენსაცია ობლიგაციის ღირებულების 40%-ის ოდენობით, აღნიშნულ ვადაზე ადრე ჩაბარების შემთხვევაში მათ მფლობელებზე კომპენსაცია არ გაიცემა.

სსრკ ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტსა და მოსახლეობაში არსებული 1982 წლის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების ნომინალური ღირებულება 1991 წლის 2 აპრილიდან გაიზარდა 40%-ით.

შემნახველი ბანკის დაწესებულებების მიერ მოსახლეობაზე ობლიგაციები გაიყიდება 40%-ით გადიდებული ღირებულებით საკურსო გადასახადის დამატებით, ხოლო მოსახლეობიდან 100 მანეთიანი 1982 წლის სახელმწიფო სესხის ობლიგაციის შესყიდვისას შემნახველი ბანკი გადაიხდის 140 მან., 50 მანეთიანზე — 70 მან., 25 მანეთიანზე — 35 მან., გარდა ამისა 40%-ით გადაფასებას ექვემდებარება შემნახველ ბანკში შესაბამად მიბარებული ობლიგაციები.

1991 წლის 1 მარტამდე შეძენილი სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებებს დაერიცხება კომპენსაცია 40%-ის ოდენობით, ხოლო შემოსავალი კომპენსაციის თანხაზე მიერიცხება ამავე დროიდან ყოველ სრულ წელზე 10%-ის ოდენობით. შენახვის პირობების დაცვის შემთხვევაში, ხოლო შენახვის პირობების დარღვევის შემთხვევაში ანუ სახელმწიფო სახაზინო ვალდებულების ვადაზე ადრე ჩაბარებისას კომპენსაციის თანხას შემოსავალი დაერიცხება წლიური 1%-ის ოდენობით, დაწყებული 1991 წლის 1 მარტიდან.

1991 წლის 1 მარტამდე მეანაბრის სახელზე გაცემული აკრედიტივი ან საანგარიშსწორებო ჩეკი გამოუყენებელია 1991 წლის 1 ივლისამდე და შემნახველი ბანკის დაწესებულებებში ჩაირიცხება იმავე ანაბარზე, მაშინ კომპენსაცია გაიანგარიშება 1 მარტის მდგომარეობით არსებულ ნაშთზე, გამოუყენებელი საანგარიშსწორებო ჩეკის ან აკრედიტივის თანხის ჩათვლით.

სამხედრო სამშენებლო რაზმების ანგარიშებზე კომპენსაცია დაერიცხება ანაბრის თანხას 1991 წლის 1 მარტის მდგომარეობით და მთლიანად ჩაირიცხება მოქმედ ანგარიშზე.

სპეცმანეთის ანგარიშზე ჩარიცხულ თანხაზე კომპენსაციის გაცემა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მფლობელის სურვილით ეს თანხა 1991 წლის 1 ივლისამდე იქნა გადაფორმებული, სპეცმანეთის ანგარიშიდან მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშზე, ამ შემთხვევაში წარდგენილ საჩეკო წიგნაკზე დგინდება სპეცმანეთის ანგარიშზე თანხის ნაშთი, 1991 წლის 1 მარტის მდგომარეობით, რომელიც ირიცხება ანაბრის ანგარიშში და ამ თანხაზე ერიცხება კომპენსაცია. თუ 1991 წლის 1 მარტის შემდეგ სპეცმანეთის ანგარიშზე მოხდენილია გასავლის ოპერაციები, ანაბრის ანგარიშზე ჩაირიცხება სპეცმანეთის ანგარიშზე არსებული ნაშთი, რომელიც ირიცხებოდა მფლობელის გამოცხადების დღეს.

1991 წლის მარტამდე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში ანაბრიდან შეძენილ საანგარიშსწორებო ჩეკებზე, რომლებიც არ განაღდებულა 1991 წლის 1 ივლისამდე, საკომპენსაციო თანხის მისაღებად კონკრეტულ შემთხვევაში ჩეკის მფლობელმა განცხადებით უნდა მიმართოს სსრკ შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს, შემდეგ მისამართზე: ქ. მოსკოვი 103016, ნეგლინნაიას ქ. № 12.

თქვენთვის საინტერესო საკითხებზე შეგიძლიათ მიმართოთ შემნახველი ბანკის დაწესებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის გამგეობა.

აკაკი

ეძღვნება იუბილეს

რესპუბლიკის პოლიგრაფიულმა მრეწველობამ აკაკი წერეთლის 150 წლისთავისათვის გამოუშვა რჩეულ თხზულებათა ხუთტომეული, რამდენიმე კრებული, „ბაშია-აჩუკის", „ლირიკის", დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სხვა წიგნების ცალკეული გამოცემები.

სულ მალე გამოქვეყნდება კრებული „აკაკი წერეთლის რჩეული ლირიკა" ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. დიდი პოეტისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აშუქებენ სხვადასხვაგვარი ბუკლეტები, პლაკატები.

სურათებზე: ამ ავტომატური ხაზით ყოველდღიურად გამოდის სხვადასხვა ფორმატის წიგნის 15 ათასი ეგზემპლარი; დიდი აკაკის ნაწარმოებების საიუბილეო გამოცემები.

• • •

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)



ინტერვიუ

პასპორტს სექტემბრიდან ელოდებით?

ახალი ნიმუშის საზღვარგარეთის პასპორტების გაცემა დაიწყეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა ქვეგანაყოფებმა. შეიცვლება კი ამასთან რაიმე ამ დოკუმენტის გაფორმების პროცედურაში, რომლებსაც ახე ელის მრავალი ჩვენი თანამოქალაქე, და რამდენად მოხერხდება ჩავაცხროთ, კერძოდ, „თურქეთის" ბუმი?

— ზოგიერთი ტექნოლოგიური ნიუანსის გარდა, შევსების მეთოდი წინანდელი დარჩა, — გვითხრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიზების, რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილების უფროსის მოადგილემ სოსო კარანაძემ. — სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმათ, ვინც აპირებს გამგზავრებას მიწვევით ან ტურისტული კრუიზით (სამუდამოდ საცხოვრებლად გამგზავრებასთან დაკავშირებით სიძნელეები წინათაც არ წარმოქმნილა), აღარ მოუწევთ დამატებითი ცნობების შეგროვება.

მოსკოვიდან მივიღეთ პასპორტების პირველი პარტია, და მისი დიდი ნაწილი გამოყოფილია თურქეთის მიმართულებით. მაგრამ ჯერჯერობით შეგვიძლია დავფაროთ ვალის სულ ათიოდე პროცენტი, რომელმაც გასული წლის სექტემბრიდან თურქეთში გამგზავრების მსურველთა მიმართ 125,000 შეადგინა, თანაც 91 ათას პასპორტს თბილისელები ელიან. პოდა, გამოვიანგარიშეთ პროპორცია თავისებური „დავალიანების კოეფიციენტი", რომლის თანახმადაც დედაქალაქში ამ მიზნებისათვის გამოყოფილია რვა ათასი საზღვარგარეთის პასპორტი, დასავლეთ საქართველოში — 1660 და დანარჩენი რეგიონებისათვის — 1440 პასპორტი. სხვათა შორის, ქართლისათვის — 480 ერთეული დოკუმენტის, კახეთისათვის — 527, სამახარლოს, დუშეთისა და თიანეთისათვის 160 ერთეულის გამოყოფა საშუალებას მოგვცემს მთლიანად დავფაროთ სექტემბრის ვალი რესპუბლიკის ამ რაიონებში. თბილისში კი დღეისათვის „დავალიანება" შეადგენს 14.270 პასპორტს, დასავლეთ საქართველოში — სამი ათასს. მაგრამ აღვნიშნავ, რომ მიღებულია დოკუმენტების მხოლოდ პირველი პარტია, მოველით მეორე პარტიის მიღებას, რომელიც ერთიორად მეტი იქნება. და მისი განაწილების შესახებ უთუოდ ვაცნობებთ მოსახლეობას.

— თქვენს მიერ გამოყვანილი მონაცემების ჯამი ოდნავ აღემატება 11 ათას პასპორტს. რისთვის არის გათვალისწინებული დანარჩენი?

— ბუნებრივია, სხვა ქვეყნებში გამგზავრებისათვის. ადამიანების საზღვარგარეთ გამგზავრების ინტერესები მარტო თურქეთით ხომ არ შემოიფარგლება. მაგალითად, დაფარულია შარშანდელი დავალიანება საბერძნეთში გამგზავრების მსურველთა წინაშე — გაცემულია 1200 პასპორტი. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, აქ საერთოდ არ არის პრობლემები — უზრუნველვყოფთ.

— ბატონო სოსო, ცნობილია, რომ ვიზების, რეგისტრაციისა და საპასპორტო მუშაობის განყოფილებაში ამჟამად მოქმედებს კომპიუტერი, რომელშიც შეაქვთ მთელი ინფორმაცია რესპუბლიკაში საზღვარგარეთის პასპორტების გაცემის შესახებ. ამართლებს თუ არა იგი დამყარებულ იმედებს კონტროლის გაძლიერების თვალსაზრისით?

— მუშაობის სამი თვის განმავლობაში ელექტრონიკამ „გამოავლინა" 1991 წელს ერთ ხელზე რამდენიმე პასპორტის გაცემის სამოცამდე ფაქტი. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველივე ეს ხდება მილიციის მთელი რიგი თანამშრომლების წაყრუების გამო. მაგალითად, მთაწმინდის რაიონში სამმა მოქალაქემ მოკლე ვადაში მოახერხა მიეღო ორ-ორი პასპორტი. თუმცა თავდაპირველად კომპიუტერი როგორც იტყვიან, პოსტ ფაქტუმ ამოწმებდა. და ერთადერთი, რაც შეგვეძლო, იყო ის, რომ გაგვეუქმებინა მეორედ აღებული პასპორტები. ახლა, როცა სისტემაში შეყვანილია როგორც მიმდინარე, ისე გასული წლის მონაცემები, მოქალაქეებს პასპორტს მხოლოდ კომპიუტერის „ნებართვის" შემდეგ აძლევენ.

გარდა ამისა, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ორ მომენტს. ერთი თვის წინათ გაზეთ „იზვესტიაში" სათაურით „თურქეთში — უვიზოდ" გამოქვეყნებულ შენიშვნაში ნათქვამი იყო, რომ საჭირო აღარ არის თურქეთის საკონსულოს ბეჭედი. ამავე დროს კი ზოგიერთმა მოქალაქემ ეს ინფორმაცია ისე გაიგო, თითქოს გაუქმებული იყოს თვით მიწვევა. ეს ასე არ არის: მიწვევის დამადასტურებელი საბუთი კვლავ სავალდებულოა.

საქმეში ჩაუხედაობა ხშირად გაუგებრობას იწვევს. ზოგჯერ გვთხოვენ გავაფორმოთ განმეორებითი გამგზავრებისათვის საჭირო საბუთები უკვე გამოყენებული მიწვევით. მაგრამ ყოველი მიწვევა ხომ მხოლოდ ერთხელ გამოიყენება და ამ მიწვევით მხოლოდ ერთხელ შეიძლება საზღვარგარეთ გამგზავრება. სულ სხვა საქმეა საზღვარგარეთის პასპორტი. ეს დოკუმენტი მართლაც ხუთი წლით გაიცემა და შეზღუდული არ არის მოგზაურობათა რიცხვი.

საუბარს უძღვებოდა
ვლადიმერ იარალოვი,
საქინფორმის კორ.

ფიქრი

დაუნდობელი დემონი

ქორმა გნოლი შეიპყრო და შეჭმა დაუპირა. გნოლმა სთხოვა, მჭლე ვარ, გამიშვი და მსუქან გნოლებს მოგგვრიო. აი, შენ მოძმეთ რომ არ ინდობ, სწორედ იმიტომაც შეგსანსლავო, მიუგო ქორმა.

ასეთი ბოლო აქვს ეზოპეს იგავს. მუდამ მეჩვენებოდა და დღესაც მეჩვენება — იგავებს ადამიანი უფრო ესთეტიკური სიამოვნებისათვის კითხულობს, ვიდრე ჭკუის სასწავლებლად.

სიმართლე გითხრათ, დღევანდელ დღეს კონიუნქტურით დამონებული ბევრი, ეგრეთ წოდებული, მოღვაწე მაგონებს ეზოპეს გნოლს: არის ნიშნისმიგება. ამას ემატება სხვა უზნეობაც: საკუთარი ბიოგრაფიის შელამაზება. ყოფილი ფუნქციონერი, გაიხედავ და ლამის დისიდენტური წარსულის პატრონად ქცეულა, ჩირგვში მჯდომი — ეროვნული მოძრაობის მებაირახტრობას ჩემულობს. კი, მაგრამ, ძნელია? ან იქნებ ჰგონიათ საზოგადოება კოლექტიურმა სკლეროზმა შეიპყრო? არ ვიცი.

ახალმა დრომ სხვა ყაიდის ადამიანთა კატეგორიაც შვა: „წინამორბედთა" მსგავსად მათ საოცარი სისწრაფით აუღეს ალღო შეცვლილ სიტუაციას, აქებენ იმათ, ვინც სძულდათ და — პირუკუ. ახლად მოვლენილი ულტრარადიკალები იმათაც კი არ ინდობენ, ვისაც არც წინათ და არც ახლა სინდისი დალაქავებული არა აქვთ. არეულ დროში ვინ დაგვიშლის ღირსეული ადამიანის „მოთხრას", მაგრამ განა ეს საკადრისია? ნებისმიერ ადამიანს შეიძლება აღმოვუჩინოთ რაიმე ხინჯი, მაგრამ ამ ხინჯს მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა არ უნდა შევწიროთ, ამას მხოლოდ არაკაცი და სულიერი ცვედანი თუ იკადრებს.

დღეს თითქმის ყველაფერი ბუნდოვანია და შეუცნობელი ყველაზე მთავარი მიზნის — ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების გარდა, მაგრამ მიზანი მუდამ როდი ამართლებს საშუალებას. თუ უგულებელვყოფთ დემოკრატიის, ადამიანის უფლებისა და შემწყნარებლობის ფუძემდებლურ პრინციპებს, ვერც თავისუფალ სახელმწიფოს ავაშენებთ. შესაძლოა, ეს იყოს დამოუკიდებელი და არადემოკრატიული ქვეყანა.

სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული პრესა ხშირად სცოდავს ტენდენციურობით, არადა, მას ეკისრება, უწინარესად, დამოუკიდებლობის წინა პერიოდში საზოგადოებრივი აზრის საფუძველზე კონსტრუქციული პოზიციის შემუშავება. ყველა ვხედავთ, რომ ეს ასე არ არის. მაგალითად, აუცილებელი როდია პრესა თუთიყუშივით იმეორებდეს ხელისუფლების პოზიციას. ამგვარი მიდგომა თვით ხელისუფლებისათვის არის საბოლოოდ წამგებიანი: უსაზღვრო აპოლოგია ადუნებს მის ყურადღებას და უშეცდომო ინსტანციის კომპლექსს უქმნის. თანაც, აზრის მონოპოლია და ცალმხრივობა დამღუპველია დემოკრატიისათვის და სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა კომპრომისისათვის. როგორც ჩანს, პრესა ინერციით იმეორებს ბოლშევიკების ზეობის პერიოდში ნასწავლ და შეთვისებულ ცუდ თვისებებს. ამ უკუღმართ ტენდენციას მარტო ეროვნული ხელისუფლება ვერ მოერევა, თუ ჟურნალისტური კორპუსი არ დაეხმარება. ეფექტიანი დახმარება კი მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა პრესა ძველებური დიქტატის წნეხისაგან განთავისუფლდება და დამოუკიდებელი აზროვნების უფლება მიეცემა—უწინარესად, პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. აქვე გულისტკივილით უნდა ვთქვათ, რომ ზოგი ჟურნალისტი გვარცხვენს ხელისუფლებისადმი წრეგადასული მაამებლობით, მონური ქედმოდრეკით, სრული უპრინციპობით. თუ ჟურნალისტი მშიშარაა, „კურდღელი" და მხოლოდ, ეგრეთ წოდებულ, ნებადართულ თემებზეა გამეცადინებული, უმჯობესია, სხვა პროფესია მოძებნოს.

ვიცი, მავანი იტყვის: ავტორს ზოგადი განცხადების ნაცვლად უმჯობესი იქნებოდა, კონკრეტული ფაქტები დაესახელებინაო. თუ ვინმეს საამისო სურვილი გაუჩნდება, ვუპასუხებ: კონკრეტულ პასუხს არ დავზარდები. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე. საქართველოში პოლიტიკური ოპოზიცია რომ არ ყოფილიყო, უთუოდ უნდა გამოგვეგონებინა. ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში ოპოზიციას პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი კუთვნილი ადგილი აქვს და არავის მოსდის აზრად მისი დევნა. სავსებით ბუნებრივად და აუცილებლადაც კი მიმაჩნია, რომ ოპოზიციას მიეცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კონსტრუქციული მოსაზრებების გამოხატვის საშუალება. პოლიტიკური ცხოვრება არ უნდა იყოს ცალ კარში თამაში ან ცალმხრივი მოძრაობა. ჩვენ ეს პროცესი უკვე გავიარეთ და მის დაბრუნებაზე ნოსტალგია არ ეგება.

თუ ოპოზიციას პრესაში გასაქანი არ მიეცა, იგი შეეცდება თვითგამოხატვის სხვა საშუალებებს მიმართოს: მოიქცევა ისევე, როგორც წინათ დისიდენტები იქცეოდნენ და რეჟიმისაგან შეუბრალებლად დევნილი იყვნენ. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლება უთუოდ კოალიციური უნდა იყოს: ერთი რომელიმე მმართველი პარტია ან ბლოკი არ უნდა ფლობდეს ყველა სამინისტროს, დეპარტამენტისა და უწყების პორტფელს. ხელმძღვანელად დანიშვნის პრინციპი უნდა ემყარებოდეს არა პარტიულობას, არამედ პატრიოტიზმთან გაჯერებულ პროფესიონალიზმს. ვიმეორებ, ადგილები მთავრობაში ოპოზიციასაც უნდა ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში ოპოზიციას არა მარტო ოპონენტის, არამედ, სახელმწიფო საქმეების მართვის პასუხისმგებლობაც დაეკისრება. რამდენი კეთილი, ერისთვის სასარგებლო მიზანი აღსრულდებოდა ხელისუფლებისა და ოპოზიციის კონსტრუქციული, კომპრომისული, პრაქტიკული თანამშრომლობის შედეგად. რამდენი პოლიტიკური ამბიცია დაცხრებოდა, რამდენ უსაფუძვლო დაპირისპირებასა და ეჭვს მოეღებოდა ბოლო, რამდენი ნიჭიერი პროფესიონალი მაქსიმალურად მოახმარდა უნარს რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებას. ჩვენ მცირე ერი ვართ და არავითარი უფლება არა გვაქვს, დავიყოთ ერთპარტიულ ხელისუფლებად და შეურიგებელ ოპოზიციად. სიტყვამ მოიტანა და ოპოზიცია სრულებითაც არ უნდა ნიშნავდეს მტრობას, მით უფრო არ უნდა ნიშნავდეს პირად ანგარიშსწორებას, როცა ეროვნული ინტერესების მოტივით გვინდა ჩავქოლოთ ის ადამიანი, ვისზედაც წყენა ჩაგვერჩენია გულში. პოლიტიკა ძალზე სახიფათოა საიმისოდ, რომ იგი ჩვენი პირადი მიზნებისთვის გამოვიყენოთ. ბუნებისა არ იყოს, რომელიც ადამიანებს მიუზღავს მათი ეკოლოგიური სიბეცისათვის, პოლიტიკაც საბოლოოდ სასტიკად უზღავს პირადი ამბიციებით დაავადებულთ. ეს ერთნაირად ეხება ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც.

ბრძენს უთქვამს, ადამიანი არ უნდა მოკვდეს, ვიდრე ცოცხალიაო; ადამიანი ერთხელ იბადება და არავითარ შემთხვევაში მონად არ უნდა მოკვდეს, ჩემთვის ეგვიპტის პირამიდები განასახიერებს არა მარტო ხუროთმოძღვრების გენიას, არამედ მონურ შრომასაც. ნიუ-იორკში აღმართული თავისუფლების ძეგლი პირამიდებს სიმაღლითაც ჩამოუვარდება, კონსტრუქციების დახვეწილობითაც, მაგრამ მაინც მირჩევნია ფარაონების დიდებულ განსასვენებლებს, რადგან თავისუფლებაა სიცოცხლის წარმმართველი და ადამიანური ღირსების მასაზრდოებელი სიკეთე. დღეს საქართველო გამეტებით ესწრაფვის თავისუფლებას, მაგრამ, როგორც ჩანს, მას სრულფასოვნად ვერ ვეზიარებით, თუ არ დავამსხვრიეთ ადამიანის თავისუფლების შემზღუდველი ბუნდები; თუ ერთხელ და სამუდამოდ არ დავაბნებეთ თავი თვითმიზნურ ოპოზიციას და ძალაუფლების მონოპოლიას, თუ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არ დამყარდება კონსტრუქციული თანამშრომლობის ატმოსფერო; თუ თავს არ დავაღწევთ ჩვენი შემარცხვენელი ლოზუნგებისა და ტერმინების ძახილს; თუ ხელს არ ავიღებთ ბოლშევიკების მსგავსი კოლექტიური წერილების ორგანიზებაზე; თუ სამართლებრივ-იურიდიული ჯებირებით გზას არ გადავუღობავთ საჯარო ცილისწამების, ორგანიზებული თავდასხმის, მორალური და ფიზიკური ტერორის, ლანძღვა-გინებისა და მუქარის, პროფესიული საქმიანობის აკრძალვის მღვრიე ნაკადს.

ნებისმიერ ბრალდებას აუცილებლად უნდა ახლდეს არგუმენტები და მტკიცებები. რომელი იურისტი მე ვარ, მაგრამ ამ ანბანურ ჭეშმარიტებას რა იურისპრუდენციის ცოდნა სჭირდება?

დღეს მხოლოდ ეკონომიკურ და სასურსათო დეფიციტს არ განვიცდით: ამას ადამიანი გაუძლებდა. მაგრამ პატიოსანი კაცისათვის გაუსაძლისი წამება „სიტყვით დაკოდვაა" (გავიხსენოთ სულხან-საბას ცნობილი არაკი), სატელეფონო ტერორი, ადამიანის ელემენტარული უფლებების დარღვევა...

დამოუკიდებლობა მხოლოდ ღირსეულმა ადამიანებმა შეიძლება მოიპოვონ. ჩვენს ტრადიციულ სენს, ჩვენს სატკივარს — შინაურიდობას, გაუტანლობას, გულღვარძლიანობას, შურს, ამბიციურობას ჩვენვე უნდა მოვუაროთ — არა ერთმანეთის დადანაშაულებით, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს შენებით. **ყველაზე დაუნდობელი დემონი ჩვენსავე თავშია.** დავეხმაროთ ერთმანეთს ამ დემონის განდევნაში და დამოუკიდებელი საქართველოსაკენ მიმავალი გზის გაადვილებაში.

გვახსოვდეს, ძალდაშინებული, ნებაწართმეული, კონიუნქტურას მინდობილი ხალხი თავისუფლების ქანდაკებას ვერ აღმართავს.

არჩილ გოგელია.

რედაქტორი: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კონსტრუქციული მოსაზრებების გამოხატვის საშუალება", თუ არ მოვიგონებთ ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს, ყველას გააჩნია. ამის დასტური ეს პუბლიკაციაც გახლავთ.

სპორტი

მოვიცადოთ ორშაბათამდე

მოვიცადოთ ორშაბათამდე... სწორედ მაშინ შეგვეძლება გავცეთ პასუხი ყველა კითხვას, რომელიც ჭადრაკის გულშემატკივრებს ებადებათ. დღეისათვის კი ამის საშუალებას ფრიად ბუნდოვანი სატურნირო ცხრილი არ იძლევა.

მეცხრე ტურში შეჯიბრების ლიდერი სტურუა ისვენებდა. ისვენებდა და დაკარგა კიდეც ერთპიროვნული ლიდერის პოზიცია, რადგან მისმა ყველა მეტოქემ წარმატებულად ითამაშა.

ჯანჯღავა-ზაიჩიკის პარტიაში შეიქმნა რთული, ორმხრივი შესაძლებლობებით სავსე პოზიცია. მოსალოდნელი იყო ნებისმიერი შედეგი, მაგრამ შეხვედრა მაინც რამდენადმე მოულოდნელად დამთავრდა. ზაიჩიკმა, რომელიც შეჯიბრების ფინიშზე პარტიას პარტიაზე აგებს (გავიხსენოთ, რომ შეჯიბრების დასაწყისში იგი ერთ-ერთი ლიდერი იყო), მოფიქრებისათვის განკუთვნილ დროს გადააცილა და დამარცხება ჩაეთვალა. ახლა ჯანჯღავა შეჯიბრების ერთ-ადერთი მონაწილეა, რომელსაც წაგება არა აქვს. გურგენიძე ჩიბურდანიძის პარტიაში შავების თამაში ცენტრში უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა, ვიდრე თეთრების ცდა მეფის ფრთაზე ლაზიერისა და ეტლის გადასროლით შეტევის წამოწყებისა. ჩიბურდანიძე ეტლით შეიპრა მეტოქის განლაგებაში და მოიგო. ახლა მან პირველი ადგილისათვის ბრძოლის კარგი შესაძლებლობა მიიღო. ბოლო ოთხი შეხვედრიდან ჩიბურდანიძემ 3,5 ქულა მოაგროვა და გამოასწორა მანამდე არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა, ეფიმოვს გაფრინდაშვილთან გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი აქვს და წარმატების შემთხვევაში ასევე შეუერთდება ლიდერთა ჯგუფს. კახიანი-გიორგაძის პარტია გადაიდო მწვავე პოზიციაში. იოსელიანი-არახამიას შეხვედრაში იოსელიანმა ცენტრში მძლავრი გამსვლელი პაიკები აამოძრავა. ამის საპასუხოდ არახამია ცდილობდა იგივე გაეკეთებინა მეფის ფრთაზე. იოსელიანის პოზიციური „საბუთები" უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა. ამასთან არახამიამ უძლიერეს ცაიტნოტში დაუცველად დასტოვა ეტლი და დაუყოვნებლივ შეწყვიტა წინააღმდეგობა.

5-5 ქულით წინ არიან მაია ჩიბურდანიძე, ლაშა ჯანჯღავა და ზურაბ სტურუა. 4 ქულა და ერთი უკეთეს პოზიციაში გადადებული პარტია აქვს იგორ ეფიმოვს. ლიდერთა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ გია გიორგაძეც, რომელსაც 3,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. ამ პარტიებს იგი დღეს ამთავრებს და ცხადი გახდება, რამდენად რეალურია მისი შესაძლებლობა იბრძოლოს პირველი პრიზისათვის. დანარჩენ 6 მონაწილეს ქულათა 50 პროცენტზე ნაკლები აქვს.

ბიძი ბამრეკელი.

სხვადასხვა

დარეკავს თუ არა ტელეფონები?

15 მაისს ქალაქ თბილისის ღრმაღელის რაიონის 300-ზე მეტმა სატელეფონო ნომერმა შეწყვიტა მუშაობა. ეს მოხდა, როგორც მიაჩნია ქალაქის სატელეფონო კავშირის სამმართველოს უფროსს თეიმურაზ ღოღობერიძეს, ზოგიერთი ორგანიზაციისა და კოოპერატივის ხელმძღვანელთა დაუდევრობის გამო, რომლებიც მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაოებს ასრულებენ სამმართველოს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად.

— ახლო მომავალში, — თქვა თ. ღოღობერიძემ, — განზრახული გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში შევიტანოთ წინადადება, რომ შეიქმნას მსგავსი სამეურნეო დარღვევების აღმკვეთი სამართლებრივი მექანიზმი. თბილისის საქალაქო ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით კი ვიტყვი, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ფირმა „სიმენსის" მიწვევით კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილესთან ანდრე კარბელაშვილთან ერთად ვიმყოფებოდით გერმანიაში. ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე ამ ცნობილ ფირმასთან ერთად შევქმნით, მაგალითად, სატელეფონო კაბელების გამომშვებ საწარმოს. საჭიროდ მიგვაჩნია ურთიერთობის განვითარება რუსეთთან. ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილი მაქვს იქ გავემგზავრო, რათა უშუალო კონტაქტები დავამყარო საწარმოებთან, რომელთა პროდუქცია ძალიან გვჭირდება.

თენგიზ ხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 66421

XI

საქართველოს რესპუბლიკა